პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 86 (10172) | სამშაბათი, 12 აპრილი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

აუცილებელი ნაბიჯი. — „პრავდის“ 10/IV მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

მოსკოვს ჩამოვიდა ავსტრიის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. — **კამათი საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო** (მე-2 გვერდი).

უგულებელყოფენ თესვის პროგრესულ მეთოდებს (მე-3 გვერდი).

კ. სიხარულიძე. — რაიკომი და ჩამორჩენილი კოლმეურნეობები (მე-3 გვერდი).

საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საკითხთა აზიის ქვეყნების კონფერენციაზე (მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

აუცილებელი ნაბიჯი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად შეიტანა წინადადებანი იმის შესახებ, რომ გაუქმდეს ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის ხელშეკრულება და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის ხელშეკრულება. ეს ლონისძიება გამოწვეულია იმ ცვლილებებით, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს მოხდა ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკაში.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა, ნაკისრ ვალდებულებათა მიუხედავად, ხელი მოაწერეს პარიზის შეთანხმებებს, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის რიმილიტარიზაციას და მის შეყვანას სამხედრო დაჯგუფებებში, რომლებიც მიმართული არიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საფრანგეთისა და ინგლისის პარლამენტებმა მოიწონეს ეს შეთანხმებანი. არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება ახალ ვითარებას ქმნის ევროპაში და ცვლის ინგლისისა და საფრანგეთის საგარეოპოლიტიკურ მდგომარეობას. ეს სახელმწიფოები, რომლებიც სსრ კავშირის მოკავშირენი იყვნენ, გერმანიის მილიტარიზმის მოკავშირეებად იქცევიან.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ჰიტლერული გერმანიისა და მის ევროპელ თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელმოწერილ იქნა 1942 წელს, როცა ანტიჰიტლერული კოალიციის ხალხები მძიმე ბრძოლას ეწეოდნენ საერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც მთელი მსოფლიოს სისხლში ჩახრჩობას იმუქრებოდა რიგების სამხედრო მრეწველობის მეფეთა ინტერესებისათვის. უკვე მაშინ ომის მსვლელობაში ნათელი გახდა, რომ ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ყველაფერი გაკეთდება, რაც კი შესაძლებელია, რომ არ იქნას დაშვებული გერმანიის აგრესიის გამეორება.

ამიტომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაში ჩაიწერა, რომ ინგლისი და საბჭოთა კავშირი „საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ მიიღებენ მათს უფლებაში არსებულ ყველა ღონისძიებას, რათა შეუძლებელი გახადონ აგრესიის გამეორება და მშვიდობის დარღვევა გერმანიის ან მასთან ევროპაში აგრესიის აქტებით დაკავშირებული რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ“. ხელშეკრულების დამდებმა თვითეულმა მხარემ ვალდებულება იკისრა არ შეერაკრა რაიმე კავშირი და არ მიიღოს მონაწილეობა რაიმე კოალიციაში, რომელიც მიმართული იქნება ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის წინააღმდეგ.

სავსებით აშკარაა, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების პოლიტიკა, რასაც ინგლისის მმართველი წრეები ახორციელებენ, ძირეულად ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს. მართლაც, პარიზის შეთანხმებანი, რომლებსაც ხელი მოაწერა ინგლისმა, ითვალისწინებენ ვერმახტის აღორძინებას ყოფილ ჰიტლერელ გენერალთა სარდლობით, რომელნიც ერთი ათეული წლის წინათ ფაშისტურ „ახალ წესრიგს“ ნერგავდნენ ევროპაში, თელავდნენ ევროპის მთელი რიგი იმ ქვეყნების სუვერენულ უფლებებსა და დამოუკიდებლობას, რომელიც გერმანიის აგრესიის მსხვერპლი გახდნენ. პარიზის შეთანხმებათა შესაბამისად დასავლეთ გერმანიის მრეწველობა, რომელიც წარსულში იარაღს ჰიდდა ჰიტლერის დაპყრობითი ლაშქრობებისათვის, კვლავ იწყებს იარაღის წარმოებას. განზრახულია ახალი ვერმახტი აღჭურვონ ყველა სახეობის თანამედროვე იარაღით, მათ შორის ატომური იარაღითაც. ეს აძლიერებს ევროპაში გამანადგურებელი ომის საფრთხეს, ძირს უთხრის ევროპის ხალხთა უშიშროებას.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც 1944 წელს დაიდო, განმტკიცებულია საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის საუკეთესო ზეგანის სისხლით, რომელნიც მამაცურად იბრძოდნენ ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ. ამ ხელშეკრულებით სსრ კავშირმა და საფრანგეთმა ვალდებულება იკისრეს ერთობლივად განაზრახიელნენ ყველა საჭირო ღონისძიებანი გერმანიისგან მომდინარე ყოველი ახალი საფრთხის აღმოსაფხვრელად და ხელი შეუშალონ ისეთ მოქმედებას, რომელიც შესაძლებელს გახდის გერმანიის მხრივ აგრესიის რაიმე ახალ ცდას. ახლა ასეთი საფრთხე კვლავ ჩნდება ევროპის კონტინენტზე იმის შედეგად, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებმა, მათ შორის საფრანგეთის მთავრობამაც, ხელი მოაწერეს, ხოლო მათმა პარლამენტებმა მოიწონეს პარიზის შეთანხმებანი.

საფრანგეთი, პარიზის შეთანხმებათა თანახმად, სამხედრო კავშირს დებს გერმანიის მილიტარიზმთან, რომელსაც ახლა აღორძინებენ, და მასთან ერთად ქმნის სამხედრო დაჯგუფებას სსრ კავშირის წინააღმდეგ. ამრიგად, საფრანგეთის მთავრობა უხეშად არღვევს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით ნაკისრ თავის სამოკავშირეო ვალდებულებებს როგორც გერმანიის აგრესიის თავიდან აცილების შესახებ, ისე იმის შესახებ, რომ არ მიიღოს მონაწილეობა სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო კავშირებში. განა ცხადი არ არის, რომ საფრანგეთის მმართველმა წრეებმა ამით ხაზი გადაუსვეს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას?

ცნობილია, თუ რა წინააღმდეგობას იწვევენ პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ ევროპაში, და კერძოდ, ინგლისსა და საფრანგეთში. ყველგან აზვირთდა სახალხო მოძრაობა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების პოლიტიკის წინააღმდეგ, დასავლეთგერმანელ რევანშისტებთან აგრესიული სამხედრო კავშირის შექმნის წინააღმდეგ. ხალხებს შეგნებული აქვთ, რომ სანამ პარიზის შეთანხმებები ჯერ კიდევ არ შესულა ძალაში და სანამ ისინი არ განხორციელებულა, კიდევ არის შესაძლებლობა შეაჩერონ მოვლენათა დამღუპველი განვითარება, ხელი შეუშალონ ომის მომზადებას.

მით უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ინგლისისა და საფრანგეთის ხალხები სსრ კავშირთან ტრადიციული კავშირის შენარჩუნებას. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მორის ტორეზი, გამოხატავდა რა ფართო დემოკრატიული წრეების აზრს, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კავშირი ჩვენთვის, ფრანგებისათვის, უშიშროებისა და მშვიდობის უბადლო ფაქტორია; იგი არის ჩვენი ქვეყნის მოქმედების თავისუფლების, მისი ეფექტიანი სუვერენიტეტისა და თვით იმის მთავარი პირობა, რომ საფრანგეთმა იარსებოს ექსპანსიონისტური გერმანიის მეზობლად“.

„ხელშეკრულებები უნდა სრულდებოდეს“ — ეს არის საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპი. არ შეიძლება დავუშვათ, რომ ორ სახელმწიფოს შორის არსებული ხელშეკრულებები ამა თუ იმ გავლენიანი წრეების ნებით გადაიქცნენ მხოლოდ შირმად, რომლის საშუალებით ამ წრეებს შეუძლიათ დაკოლონ საზოგადოებრივ აზრს ნამდვილი მიმართულება თავიანთი პოლიტიკისა, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულებებს.

საფრანგეთისა და ინგლისში ზოგიერთის სურს ერთისა და იმავე დროს დაჯდეს ორ სკამზე: ერთი მხრივ, დადოს დასავლეთგერმანელ მილიტარისტებთან სამხედრო ხელშეკრულება, მიმართული სსრ კავშირის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ, შეინარჩუნოს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულებანი, რომლებიც იცავენ ინგლისისა და საფრანგეთის უშიშროებას გერმანიის საფრთხისაგან, რის აღორძინებაც ხდება. მაგრამ, როგორც სამართლიანად თქვა ერთ-ერთმა ფრანგმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, „არ შეიძლება ამზადებდე რამეს ვინმეს წინააღმდეგ და ამავე დროს თავს აცხადებდე მის მეგობრად. არ შეიძლება ამზადებდე გერმანიის არმიას სსრ კავშირის წინააღმდეგ და თავს აცხადებდე მის მოკავშირედ“.

საბჭოთა მთავრობას არაერთხელ მიუქცევია ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების ყურადღება იმისათვის, რომ ხელშეკრულებები, რომლებიც მათ სსრ კავშირთან დადეს 1942 და 1944 წლებში, შეუთავსებელია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების პოლიტიკასთან, რომელმაც თავისი ყველაზე სრული გამოხატულება ჰპოვა პარიზის შეთანხმებაში. საბჭოთა მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ასეთ მდგომარეობაში აღნიშნული ხელშეკრულებანი კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას და არ შეიძლება ემსახურებოდნენ იმ მიზნებს, რომლებისთვისაც ისინი დაიდო.

საბჭოთა მთავრობის გასული წლის 16 დეკემბრის ნოტაში საფრანგეთის მთავრობისადმი და 20 დეკემბრის ნოტაში ინგლისის მთავრობისადმი მოცემული იყო იმ მდგომარეობის ანალიზი, რომელიც შეიქმნა ხსენებულ ხელშეკრულებებად დაკავშირებით, და აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა მთავრობა ვერ შეურიგდება ასეთ მდგომარეობას და მას არ შეუძლია ეს პირდაპირ არ უთხრას როგორც საბჭოთა ხალხს, ისე საფრანგეთისა და ინგლისის ხალხებსაც.

ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის ხელშეკრულება და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის ხელშეკრულება პირველ საფუძველს უყრიდნენ ევროპის უშიშროებას. მათ განსაზღვრეს, რომ ევროპაში ომისშემდგომი პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ევროპის ყველა სახელმწიფოს ღონისძიებათა გაერთიანება, განურჩევლად მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემებისა, იმ მიზნით, რომ არ დაუშვან აგრესიის განახლება.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები დაადგნენ გზას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ამ პოლიტიკას, ინგლის-საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებებში რომ ჰპოვა თავისი გამოხატულება. ისინი ქმნიან სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო დაჯგუფებებს გერმანელ მილიტარისტთა მონაწილეობით, ცდილობენ რა გაამართლონ ეს სახელმწიფოთა საზოგადოებრივი წყობილების განსხვავების ყალბი და გაცვეთილი დამოწმებით.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირსა და ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს არ შეუძლიათ გულგრილად მოეკიდონ ამ პოლიტიკას, რომელსაც ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ახორციელებენ. საბჭოთა კავშირს არ შეუძლია არ გააკეთოს თავისი დასკვნები ევროპაში შექმნილ ახალ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ევროპის მშვიდობისმოყვარე ქვეყნები კიდევ უფრო გაალიერებენ თავიანთი უშიშროებისთვის ზრუნვას, გაადიდებენ თავიანთ ძალიერებას, გაერთიანებენ ამ ამოცანების განხორციელებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

რაც შეეხება ინგლის-საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებებს, მათ, როგორც ეს არაერთხელ განუცხადებია საბჭოთა მთავრობას, ხაზს გადაუსვამს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია და ამით ისინი დაკარგავენ აზრსა და მნიშვნელობას.

საბჭოთა ადამიანები მზურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიებას, რომლებიც ახალი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარეობენ და რომელთა მიზანია ბრძოლა აგრესიული გეგმების განხორციელების წინააღმდეგ, ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

„პრავდის“ 10/IV მოწინავე

ყამირის 90 ათასი ამთვისებელი

ალმა-ატა, 10 აპრილი. (საკდესი). სულ უფრო ძლიერდება ყაზახეთის ყამირი მიწების ახალმოსახლეთა ნაკადი. ისინი ყოველდღიურად ჩამოდიან ეშელონებით და ცალკე ჯგუფებად ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან.

გუშინ პავლოდარში ჩამოვიდა 207 ჭაბუკი და ქალიშვილი კოსტრომიდან. მათ უმრავლესობას აქვს მექანიზატორის ან მშენებლის სპეციალობა. ჟუსტანაიში ჩამოვიდა ახალგაზრდა ხარკოველთა ჯგუფი. აკმოლინსკში გულთბილად შეხვდნენ მოსკოვის ოლქის კომკავშირლებს.

წლის დამდეგიდან რესპუბლიკის მარცვლეულის ახალ საბჭოთა მეურნეობებში ჩამოვიდნენ რუსეთის სფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, უზბეკეთისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების კომკავშირელები, ახალგაზრდობა.

სულ წელს ყაზახეთში ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად ჩამოვიდა 90 ათასზე მეტი ახალგაზრდა პატრიოტი.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

უკრაინის დედაქალაქის ინტელიგენციის ხმა მშვიდობის დასაცავად

კიევი, 8 აპრილი. (საკდესი). უკრაინის დედაქალაქის მეცნიერნი, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკნი ერთსულოვნად უერთებენ თავიანთ ხმას მოთხოვნას, რომ აიკრძალოს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღი. ამ დღეებში იმართება ხალხმრავალი კრებები ამ საკითხზე, რომ შეაგროვონ ხელმოწერა ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე. კრებები იმართება კიევის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და სასწავლებლებში, თეატრებში, მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა შემოქმედებითს ორგანიზაციებში.

— ჩვენი პროფესიის ხასიათის მიხედვით ჩვენ მოწოდებული ვართ ვაშენოთ, შევქმნათ, — განაცხადა უკრაინის სსრ არქიტექტურის აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა კოლექტივების საერთო კრებაზე არქიტექტურის აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ა. კასიანოვმა. — ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ შენდებოდეს ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, კულტურის სასახლეები. აი ამტომ ჩვენთვის საძულველნი არიან მეატომეები, რომლებიც ამზადებენ ადამიანთა მასობრივი მოსპობის, ქალაქების დანგრევის გეგმებს. აი ამტომ ჩვენ ყველანი უკლებლივ ვაწერთ ხელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას.

— ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები ამზადებენ ახალ გამანადგურებელ ომს, ატომური ბომბით ემუქრებიან ხალხებს, — თქვა კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივის კრებაზე სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზ. გაიდამ. — მაგრამ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, არ გვაშინებს ეს მუქარა. მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი რამ გამჩაღებლებზე უფრო ძლიერია. მშვიდობის ძალები გამანადგურებელ წინააღმდეგობას გაუწევენ აგრესორებს. ჩვენ, საბჭოთა მსახიობები, უაღრესად მოწონავე, ცხოველმყოფელი ხელოვნების იარაღით დავიცავთ მშვიდობას, ვამხილებთ ომის საზიზღარ გამჩაღებლებს.

ერთსულოვნად აწერენ ხელს მიმართვას კიეველი ფერმწერები, მოქანდაკეები, გრაფიკოსები, თეატრების მუშაკები.

პარიზისა და მთავრობის მოწოდებით

მინსკი, 8 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას კვალიფიციური ინიციატივიანი მუშაკებით კოლმეურნეობათა განმტკიცების შესახებ მჩურვალედ გამოეხმაურნენ კომუნისტები და უპარტიოები.

ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში შემოვიდა ასამდე განცხადება. იმათ შორის, ვინც სოფლად სამუშაოდ წასვლის სურვილი განაცხადა, არიან: მინსკის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს საგეგმო-ეკონომიური განყოფილების უფროსი ვ. ი. მალიავკო, ბელორუსიის სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს ინჟინერი ფ. ფ. სოლდატენკო, მინსკის პოლიგრაფიული კომბინატის მთავარი ბუხჰალტერი ა. ე. იადრევსკი, პარტიის ფრუნზეს რაიკომის ინსტრუქტორი ე. ი. ბოკოვნია, ბელორუსიის ხე-ტყის გასაღების განყოფილების უფროსი ვ. მ. ლებედევი, ბელორუსიის სსრ ფინანსთა სამინისტროს რევიზორი კ. კ. კაჩანი, პარტიის ვოროშილოვის რაიკომის ინსტრუქტორი ა. ა. კეიდო და სხვები. მათი უმრავლესობა ისეთი ადამიანებია, რომლებიც იცნობენ სოფლის მეურნეობას, აქვთ ხელმძღვანელი მუშაობის გამოცდილება.

განცხადებებში პირველი მოხალისენი წერენ, რომ მხურვალედ სურთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.



მოსკოვი. ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტი ექსკურსანტები და მნახველი მოდის სსრ კავშირის რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმში. **სურათზე:** მნახველები მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში.

ფოტო ლ. პორტერისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

★

ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო გიბლიოთეკაში

ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკა ემზადება აღნიშნოს კომუნისტური პარტიის შემქმნელისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 85-ე წლისთავი.

წიგნსაცავშია მშრომელთა დიდი ბელადის ნაწარმოებთა გამოცემების უმდიდრესი კრებულები, რომლებიც 30 ათასზე მეტ ტომს შეიცავენ. ეს არის სსრ კავშირში გამოსული შრომები, რევოლუციამდელი გამოცემები — ლეგალური და არალეგალური, აგრეთვე მრავალი საზღვარგარეთული გამოცემა. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი, რომლებიც გამოცემულია სსრ კავშირის და უცხოეთის ქვეყნების ხალხთა 84 ენაზე.

იშვიათი წიგნების განყოფილებაში ინახება ფართოდ ცნობილი შრომების „რა ვაკეთოთ?“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ და სხვების პირველი პუბლიკაციები.

აქ არის პირველი ნომერი არაპერიოდული კრებულის „რაბოტნიკისა“, რომლის გამოცემის ინიციატორი იყო ვ. ი. ლენინი. ამ კრებულს უშვებდა საზღვარგარეთ 1896-1899 წლებში „რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი“. პირველ ნომერში, რომელიც 1896 წელს გამოვიდა, გამოქვეყნებულია ვლადიმერ ილიას-ძის სტატია-ნეკროლოგი „ფრიდრიხ ენგელსი“ და ფურცელი „ტორნტონის ფაბრიკის მუშებისა და მუშა-ქალებისადმი“.

საინტერესოა ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი პირველი ლეგალურად გამოცემული წიგნი რუსეთში „ეკონომიური ეტიუდები და სტატიები“.

1907 წელს წიგნის გამომცემლობა „ზერნომ“ დაიწყო ლენინის თხზულებათა სამტომიანი კრებულის გამოშვება საერთო სათაურით „12 წლის მანძილზე“. ნავარაუდევი სამი ტომიდან მოხერხდა გამოეშვათ მხოლოდ პირველი ტომი და მეორე ტომის პირველი ნაწილი. პირველ ტომს მალე კონფისკაცია უყვეს, მაგრამ ტირაჟის მნიშვნელოვანი ნაწილის გადარჩენა მოხერხდა და წიგნი არალეგალურად ვრცელდებოდა. ეს იშვიათი გამოცემა სათუთად ინახება ბიბლიოთეკაში.

ყურადღებას იქცევს ბროშურები „ახსნა-განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს აძდევინებენ ფაბრიკებსა და ქარხნებში“, „ახალი საფაბრიკო კანონი“, „სოფლის ღარიბებისადმი“. ისინი გამოვიდა ქენევაში 1897-1903 წლებში.

დიდ ღირებულებას წარმოადგენს ბოლშევიკური გაზეთების „ვპერიოდის“, „ეხოს“, „პროლეტარისა“ და სხვების კომპლექტები. აქვეა გაზეთ „ისკრის“ პირველი ნომერი, რომელიც 1900 წლის 11/24 დეკემბერს გამოვიდა ლაიპციგში. ამ ნომერში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის სტატიები: „ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები“, „ჩინეთის ომი“, „განხეთქილება რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთულ კავშირში“.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს ყოველდღე კითხულობს და სწავლობს ბიბლიოთეკაში ბევრი მომსვლელი. აქ ყოველ მკითხველს ბიბლიოთეკარის დაუხმარებლად შეუძლია აიღოს ბელადის თხზულებათა ტომი და ნაწარმოებთა ცალკეული გამოცემები.

ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისათვის ბიბლიოთეკამ გამოსცა მასალები, რომლებიც დაეხმარებიან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს გამოფენების, საღამოების, ვლადიმერ ილიას-ძის შესახებ წიგნების კითხვის მოწყობაში.

ღირსშესანიშნავი თარიღისათვის აქ იხსნება ვ. ი. ლენინის შრომების გამოცემებისა და მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ლიტერატურის რამდენიმე გამოფენა.

★

კლდის ექსკავატორი

სვერდლოვსკი. (საკდესი). ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის ექსკავატორთა ასაწყობ საამქროში გამოსცადეს კლდის პირველი ექსკავატორი. ახალი მანქანის სანახავად ბევრი მუშა მოვიდა მეზობელი საამქროებიდან.

კლდის ექსკავატორი განკუთვნილია მადნის დასამუშავებლად კარიერებში. მას შეუძლია საათში ორი ათას ტონაზე მეტი მადანი ამოიღოს. მანქანის ციცხვის ტევადობა ექვსი კუბური მეტრია. სამსართულიანი სახლის სიმაღლე ეს აგრეგატი 330 ტონას იწონის, მაგრამ თავისუფლად დადის გრუნტზე თავისი ფართო მუხლუხებით.

ექსკავატორი კომპლექტირებულია ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორის ვ. კუბაჩეკის პროექტის მიხედვით. ქვედა საყრდენი ჩარჩო, მოსაბრუნებელი პლატფორმა და სხვა უმნიშვნელოვანესი კვანძები შედუღებულია სქელი ფურცლებით, ციცხვის ისარი და ტარი გაკეთებულია მილებისაგან.

მანქანა ყაზახეთში იგზავნება.

ამავე დროს ქარხანაში დამთავრდა მორიგი, სათვალავით მე-16, მოსიარულე ექსკავატორის გაკეთება. მისი ისრის სიგრძე 75 მეტრია, ციცხვის ტევადობა — 14 კუბური მეტრი. ამ მიწისმთხრელი გიგანტის აწყობის შრომატევადობა შემცირებულია თითქმის ორნახევარჯერ.

ხუთზონიანი ავზომისაბმელები

დაუგავპილსი (ლატვიის სსრ). (საკდესი). № 3 საავტომობილო ქარხანაში კონსტრუირებულია ხუთტონიანი ავტომისაბმელი. მას აქვს გაძლიერებული ჩარჩო და გადიდებული სიმაგრე. პნევმატიკური ავტომატური მუხრუჭები უზრუნველყოფენ მოძრაობის უშიშროებას.

გამოცდებმა ახალი მისაბმელის კარგი საექსპლოატაციო თვისებები ცხადყო. დაწყებულია მასობრივი წარმოება. მრავალი ხუთტონიანი მისაბმელი გაეგზავნება ყამირი მიწების ათვისების რაიონებს.

ახალი საგზოთა ოპერა

ლენინგრადი. (საკდესი). ლენინგრადის საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო ს. პროკოფიევის ახალი ოპერის „ომისა და მშვიდობის“ დადგმამ. ამ ოპერის პრემიერა გაიმართა აკადემიურ მცირე ოპერის თეატრში. ოპერა შექმნილია ლ. ტოლსტოის გენიალური რომანის სიუჟეტზე და ასახავს რუსი ხალხის გადგომების ცხოვრებას, იმ პატრიოტულ გრძნობებს, რითაც გაჟღენთილი იყვნენ რუსი ადამიანები 1812 წლის სამამულო ომის პერიოდში.

ოპერა კომპოზიტორს ორ ნაწილად ჰქონდა ჩაფიქრებული. პირველი ნაწილის დადგმა განხორციელდა ცხრა წლის წინათ ამავე თეატრის სცენაზე, რისთვისაც კოლექტივს სტალინური პრემია მიენიჭა. სიკვდილამდე ცოტა ხნის წინ ს. პროკოფიევმა გადაამუშავა პარტიტურა, და ახლა ოპერა გაერთიანებულია ერთ სპექტაკლად.

მთავარ პარტიებს ასრულებდნენ მსახიობები ტ. ლავროვა, ს. ბასკოვა, ს. შაპოშნიკოვი, ვ. ლევანდო, ნ. გლებოვი, კ. დოროფეისკი, ნ. ბუტიაგინი, ა. მოდესტოვი, ფ. ანდრეკოვიჩი და სხვები. სპექტაკლში სულ მონაწილეობს 200-ზე მეტი შემსრულებელი.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ბ. პოკროვსკიმ. მხატვარია ვ. დმიტრიევი. ოპერას დირიჟორობდა ე. გრიკუროვი.

პრემიერა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ფართოვდება სანატორიუმებისა და კურორტების ქსელი

7 აპრილს მოსკოვში დამთავრდა სანატორიუმებისა და კურორტების მუშაკთა თათბირი, რომელიც მოიწვია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ.

თათბირის მონაწილეებმა დასახეს მშრომელთა მომსახურების შედგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. გადიდდება სანატორიუმებისა და კურორტების გამტარუნარიანობა. კერძოდ, გათვალისწინებულია გაფართოვდეს არსებული და აშენდეს ჯანმრთელობის ახალი კერები შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში, ურალში, ყაზახეთსა და სხვა ადგილებში. რიგი სანატორიუმები იმუშავებენ მთელი წლის განმავლობაში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ სანატორიუმებს, რომლებიც მდებარეობენ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში (ბელოკურიხა, ბოროვოე, დათვის ტბა, მუიალდი და სხვ.).

თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებებში გათვალისწინებულია ამბულატორიულ-საკურსო სისტემის კიდევ უფრო ფართოდ გავრცელება. ფართოვდება პოლიკლინიკების, ბალნეოლოგიური დაწესებულებების, სამკურნალო პლაჟებისა და დიეტური სასადილოების ქსელი, რათა მომსახურება გაუწიოს მკურნალობითა და კვებით უსაგზაოროდ ჩამოსულთ. (საკდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა ავსტრიის მთავრობის დელეგაცია

გუშინ, 11 აპრილს, საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა ავსტრიის მთავრობის დელეგაცია.

დელეგაციას მეთაურობს ავსტრიის ფედერალური კანცლერი ბ-ნი ი. რააბი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ვიცე-კანცლერი ბ-ნი ა. შერფი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ლ. ფიგლი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ბ-ნი ბ. კრეისკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი დესპანი ბ-ნი ი. შენერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლის განყოფილების უფროსი დესპანი ბ-ნი ს. ვეროსტა და მათი თანმხლები პირები.

ცენტრალურ აეროდრომზე ავსტრიის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და უმაღლესი კომისარი ავსტრიაში ი. ი. ილიჩოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-3 ევროპული განყოფილების გამგე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ე. დ. კისელიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტები.

დელეგაციას შეხვდნენ ავსტრიის საელჩოს თანამშრომლები სსრ კავშირში ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ნ. ბიშოფის მეთაურობით, აგრეთვე მთელი რიგი სხვა საელჩოებისა და მისიების მეთაურები და თანამშრომლები.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ავსტრიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით.

მოსკოვს ჩამოსვლისას ავსტრიის ფედერალ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

კამათი საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ პ. ე. ბაქრაძის სიტყვა

(ტყიბულის რაიონის ოკრპირის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა კარგად იციან, რომ მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვანახშირის მოპოვების გადიდებას. მათ კარგად ახსოვთ დიდი ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ ქვანახშირი მრეწველობის პურია. სწორედ ამიტომ მეშახტეები თავდადებით იბრძვიან მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის და ყოველი ღონისძიებით ცდილობენ გაადიდონ ქვანახშირის ამოღება.

გასული წელი აღინიშნა ქვანახშირის მოპოვების ახალი ზრდით. ტყიბულელმა მეშახტეებმა ქვანახშირის ამოღების 1954 წლის დავალება 12 დღით ადრე შეასრულეს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ათასობით ტონა ქვანახშირი. წინა წელთან შედარებით 1954 წელს ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება გადიდდა 13,7 პროცენტით, 30 პროცენტით გაიზარდა მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება, ხოლო თვითღირებულება ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შემცირდა 6 მანეთითა და 48 კაპიკით.

ტყიბულელი მეშახტეები გამოვიდნენ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მადნითა და ქვანახშირის კონცენტრატით უზრუნველყოფისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად. ისინი იბრძვიან რა ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, ტყიბულქვანახშირის მეშახტეებმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულეს.

გასულ წელს ტყიბულში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მრავალი კეთილმოწყობილი, ლამაზად ნაგები საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სარგებლობის შენობა. სისტემატიურად უმჯობესდება მეშახტეთა კულტურული მომსახურება. შახტებში ახალი მაღალნაყოფიერი ტექნიკის დანერგვისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების შედეგად იზრდება მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება, იზრდება მათი ხელფასი.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეები მტკიცედ დაიჩაზნენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მათ წარმატებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და ჩაბარების გასული წლის სახელმწიფო გეგმა. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მებაღე კოლმეურნეებმა. მსხმოიარე ბაღის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 40 ცენტნერის ნაცვლად მიიღეს 50 ცენტნერი ხილი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა ჩვენმა კოლმეურნეობებმა იკისრეს ყოველმხრივ განავითარონ მეცხოველეობა, გადააქციონ იგი მაღალშემოსავლიან დარგად.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციფიკა და დაგვეხმაროს სოფლის მეურნეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საქმეში.

ამხანაგო დეპუტატებო! სესიის წინაშე მინდა დავაყენო ზოგიერთი საკითხი. ვთხოვ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას გამოუყოს სათანადო თანხები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიმდინარე წელს ტყიბულში მუშა-ახალგაზრდობის რუსული საშუალო სკოლის გასახსნელად. ვთხოვ სესიას აგრეთვე გათვალისწინოს ტყიბულში პურის ქარხნის აშენების აუცილებლობა, რისთვისაც გამოუყოს სათანადო სახსრები საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს.

როგორც ცნობილია, უკანასკნელი წლების მანძილზე ქ. ტყიბულში დიდი საშენებლო სამუშაოები შესრულდა. ქალაქი და მისი მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მარტო 1950-1954 წლებში ქალაქის მშენებლობაზე 64.500 ათასი მანეთი დაიხარჯა. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ტყიბულის მეშახტეებმა 40.000 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს, აშენდა ათობით მრავალსართულიანი შენობა. ქ. ტყიბულში ქვანახშირის მოპოვების გადიდებას აუცილებლად მოჰყვება ქალაქის შემდგომი ზრდა. ვთხოვ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას, გათვალისწინებულ იქნას ქ. ტყიბულის მშენებლობის გენერალური გეგმის შედგენის აუცილებლობა და მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის არქიტექტორის გამოყოფა.

ამხანაგო დეპუტატებო! მთლიანად ვიწონებ და მხარს ვუჭერ სესიაზე წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს. ტყიბულის რაიონის მშრომელები მთელ ქართველ ხალხთან ერთად აღფრთოვანებით შეხვდებიან სესიის გადაწყვეტილებებს და წარმატებით იბრძოლებენ მათი შესრულებისათვის. **(ტაში).**

დეპუტატ დ. ბ. მამედოვის სიტყვა

(მარნეულის რაიონის შაუმიანის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! მარნეულის რაიონის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის, უწინარეს ყოვლისა მისი საფუძვლის — მძიმე მრეწველობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება.

ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა დასახეს ხორცის, რძისა და მატყლის წარმოების მკვეთრი გადიდება.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდებისათვის მარცვლეულის მოსავლიანობა უნდა ავიყვანოთ 13,8 ცენტნერიდან 22,3 ცენტნერამდე, აქედან სიმინდის მოსავლიანობა — 16,1 ცენტნერიდან 34,1 ცენტნერამდე.

ამ ამოცანის შესასრულებლად ყველა შესაძლებლობა გვაქვს. ეჭვი არ არის, რომ მას ღირსეულად შევასრულებთ.

პირუტყვის უფრო ორგანიზებული გამოზამთრებისა და მოვლა-შენახვის გაუმჯობესების შედეგად რაიონის კოლმეურნეობებში გადიდდა წველადობა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების 1-ლი კვარტალის გეგმა: ხორცისა — 106,6 პროცენტით, რძისა — 164,9 პროცენტით, კვერცხისა — 152,8 პროცენტით.

რაიონის ცხრა კოლმეურნეობაში მიმდინარეობს ტიპური საძროხეების, სახბორეებისა და ფარეხების მშენებლობა.

რაიონის მტს-ებში დროზე დაამთავრეს ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების რემონტი. ორგანიზებულად დაიწყო მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. უკვე დათესილია ორი ათას ჰექტარზე მეტი საკვები, ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურები, დაწყებულია სიმინდის თესვა და თამბაქოს რგვა.

ხალხის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველდღიური დახმარების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რაიონის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და ამაღლდა მათი კულტურული დონე.

1954 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა შრომადღეზე საშუალოდ 4,1 კილოგრამი მარცვლეული, ფულად 6 მანეთი და 70 კაპიკი გაანაწილეს. მთელ რიგ კოლმეურნეობებში შრომადღეზე განაწილდა 7-12 კილოგრამი მარცვლეული და 10-15 მანეთი ფულად. რაიონის კოლმეურნეობათა შემოსავალი 1954 წლის განმავლობაში 13 მილიონი მანეთით გადიდდა. გასულ წელს ახარიცხებმა კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდებში 8 მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა.

სერიოზული წარმატებებია მიღწეული მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. რაიონში მუშაობს 5 საავადმყოფო, 8 ამბულატორია, 9 სამედიცინო პუნქტი.

ჩვენ გვაქვს 86 სკოლა, სადაც 800-ზე მეტი პედაგოგი მუშაობს. თითქმის ყოველ დასახლებულ პუნქტშია კლუბი, სამკითხველო და ბიბლიოთეკა.

ამასთან ერთად ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთ კოლმეურნეობაში დაბალია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. პურეულის მოსავლის აღების გაჭიანურების შედეგად დაშვებულია ხორბლის მნიშვნელოვანი დანაკარგები.

ცუდი მდგომარეობაა რაიონის კოლმეურნეობათა ელექტროფიკაციის მხრივ. საქსოფლელექტრო ამაში საჭირო დახმარებას არ გვიწევს.

გადასახლება-დასახლების სამმართველოს და ყოფილ ტრესტ „გადასახლება-დასახლებმშენის“ გაუმართავი მუშაობის მიზეზით ცუდ მდგომარეობაშია ახალმოსახლე კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. მე ვთხოვ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრს მოაგვაროს ახალმოსახლე კოლმეურნეების სასმელი წყლით უზრუნველყოფისა და მათი სხვა საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით მარნეულის რაიონის 1955 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობა 16.457 ათას მანეთს შეადგენს წინა წლის 16.267 ათასი მანეთის ნაცვლად.

მარნეულის რაიონში საექსპლოატაციოდ გადაეცა საშუალო სკოლის შენობა, ხოლო წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 50-საწოლიანი რაიონული საავადმყოფოს შენობა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები რაიონული ცენტრის კეთილმოწყობის დარგში, რაიონულ ცენტრს კლუბი და სასტუმრო არა აქვს. ვთხოვ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას დამატებით გაითვალისწინოს მარნეულის რაიონის ბიუჯეტში სახსრები რაიონის კულტურის სახლისა და სასტუმროს მშენებლობისათვის.

დეპუტატ გ. ნ. ჯიბლაძის სიტყვა

(ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების დადგენილებანი, საბჭოთა სკოლის ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. გადამუშავდა სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები, მთელი აღმზრდელობითი მუშაობა უფრო მეტად დაუახლოვდა შრომის პროცესებს, მრეწველობას, სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. მიმდინარე სასწავლო წელი არა მარტო იმ მხრივ არის საგულისხმო, რომ მოხდა ქალ-ვაჟთა სკოლების შეერთება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, არამედ იმ მხრივაც, რომ მივიღეთ პირველი შედეგები ორი ახალი საგნის — ხელგარჯილობისა და სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე პრაქტიკული მეცადინეობის სწავლებაში. აქ მხედველობაში ისიც უნდა ვიქონიოთ, რომ შესაძლებელია მომავალი სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შემოღებულ იქნას ისეთი საგნების სწავლება, როგორიც არის „შრომა“, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკის საფუძვლების სწავლება.

უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა სკოლების მუშაობაში სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე. თუ 1953 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკის სკოლების მხოლოდ 35 პროცენტს ჰქონდა სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი, ამჟამად ნაკვეთები გამოყოფილი აქვს რესპუბლიკის სკოლების 85 პროცენტს.

ერთ-ერთი ძირითადი პირობა, ურომლისოდაც შეუძლებელია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ნორმალურად წარმართვა, არის მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცება.

მოსწავლის ქცევისათვის პასუხი უნდა აგოს არა მარტო სკოლამ და მასწავლებელმა, არამედ მშობელმაც, ვინაიდან მოსწავლე ახალგაზრდას დროის დიდი ნაწილის გატარება უხდება სკოლის გარეთ — ოჯახში, ეზოში, ქუჩაში.

ამხანაგო დეპუტატებო! პარტია და მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა სკოლისადმი. ახალგაზრდობის აღზრდას ხმარდება უდიდესი თანხები. სესიის განსახილველად შემოტანილი 1955 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს უდიდეს ასიგნებებს სახალხო განათლებისათვის, კერძოდ, ბიუჯეტში ამ საქმისათვის გათვალისწინებულია 785.051 ათასი მანეთი, რაც დაახლოებით 7 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე 1954 წელს იყო გაღებული. ეს თანხა სავსებით აკმაყოფილებს მიმდინარე წელს ჩვენს მოთხოვნილებას, მხოლოდ საჭიროა განათლების ორგანოებმა, კერძოდ, განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს ასიგნებული თანხების სრულად და დანიშნულებისამებრ ათვისება. სამწუხაროდ, გასულ წელს ვერ ავითვისეთ 20.119 ათასი მანეთი. მარტო კაპიტალური მშენებლობის ხაზით აუთვისებელი დაგვრჩა 5.675.000 მანეთი.

მარნეულის რაიონის ბიუჯეტის პროექტში გზების კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებულია 100 ათასი მანეთი, რაც მხოლოდ ხიდების რემონტს ჰყოფნის. მარნეულ-სადახლოს გზა, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გადააქვთ, საფუძვლიან გადაკეთებას საჭიროებს. ამიტომ ვთხოვ სესიას გამოჰყოს დამატებითი ასიგნობანი საგზაო მშენებლობისათვის 100 ათასი მანეთის ოდენობით.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი სრულად ასახავს ჩვენს რესპუბლიკაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მძლავრ ზრდას. ამიტომ შემომაქვს წინადადება მისი დამტკიცების შესახებ. **(ტაში).**

დეპუტატ გ. ნ. ჯიბლაძის სიტყვა

(ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების დადგენილებანი, საბჭოთა სკოლის ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. გადამუშავდა სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები, მთელი აღმზრდელობითი მუშაობა უფრო მეტად დაუახლოვდა შრომის პროცესებს, მრეწველობას, სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. მიმდინარე სასწავლო წელი არა მარტო იმ მხრივ არის საგულისხმო, რომ მოხდა ქალ-ვაჟთა სკოლების შეერთება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, არამედ იმ მხრივაც, რომ მივიღეთ პირველი შედეგები ორი ახალი საგნის — ხელგარჯილობისა და სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე პრაქტიკული მეცადინეობის სწავლებაში. აქ მხედველობაში ისიც უნდა ვიქონიოთ, რომ შესაძლებელია მომავალი სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შემოღებულ იქნას ისეთი საგნების სწავლება, როგორიც არის „შრომა“, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკის საფუძვლების სწავლება.

უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა სკოლების მუშაობაში სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე. თუ 1953 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკის სკოლების მხოლოდ 35 პროცენტს ჰქონდა სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი, ამჟამად ნაკვეთები გამოყოფილი აქვს რესპუბლიკის სკოლების 85 პროცენტს.

ერთ-ერთი ძირითადი პირობა, ურომლისოდაც შეუძლებელია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ნორმალურად წარმართვა, არის მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცება.

მოსწავლის ქცევისათვის პასუხი უნდა აგოს არა მარტო სკოლამ და მასწავლებელმა, არამედ მშობელმაც, ვინაიდან მოსწავლე ახალგაზრდას დროის დიდი ნაწილის გატარება უხდება სკოლის გარეთ — ოჯახში, ეზოში, ქუჩაში.

ამხანაგო დეპუტატებო! პარტია და მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა სკოლისადმი. ახალგაზრდობის აღზრდას ხმარდება უდიდესი თანხები. სესიის განსახილველად შემოტანილი 1955 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს უდიდეს ასიგნებებს სახალხო განათლებისათვის, კერძოდ, ბიუჯეტში ამ საქმისათვის გათვალისწინებულია 785.051 ათასი მანეთი, რაც დაახლოებით 7 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე 1954 წელს იყო გაღებული. ეს თანხა სავსებით აკმაყოფილებს მიმდინარე წელს ჩვენს მოთხოვნილებას, მხოლოდ საჭიროა განათლების ორგანოებმა, კერძოდ, განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს ასიგნებული თანხების სრულად და დანიშნულებისამებრ ათვისება. სამწუხაროდ, გასულ წელს ვერ ავითვისეთ 20.119 ათასი მანეთი. მარტო კაპიტალური მშენებლობის ხაზით აუთვისებელი დაგვრჩა 5.675.000 მანეთი.

დეპუტატ ტ. ვ. ფოფხაძის სიტყვა

(ქალაქ ჭიათურის სტალინის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ჭიათურელი მაღაროელები შემოქმედებითად შრომობენ, რათა საბჭოთა სახელმწიფოს მისცენ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი. მარგანეცის მრეწველობის მუშაკთა თავდადებული შრომით 1954 წლის სახელმწიფო გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით წარმატებით იქნა შესრულებული. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, მიუხედავად სერიოზული დაბრკოლებებისა, მეტმა წილმა მაღაროებმა გეგმები შეასრულეს. მათ შორის გეგმა შეასრულა სტალინის სახელობის მაღარომ, სადაც მე ოცდაათი წელია ვმუშაობ.

ჩვენ, მაღაროელებს, შეგნებული გვაქვს, რომ მძიმე ინდუსტრია ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების საფუძველია, მშრომელთა ბედნიერი ცხოვრების წყაროა. ამიტომაც მთელი ენერგიით ვშრომობთ, რათა სამშობლოს სულ მეტი და მეტი რაოდენობით მივცეთ მარგანეცი. პირადად მე, ვმუშაობ რა მარგანეცის ამწშენდად, მეხუთე ხუთწლედი სამ წელიწადში შევასრულე, ხოლო მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა თებერვალში გავასაღდე.

ყველა მაღაროელის სახელით გარწმუნებთ, ამხანაგო დეპუტატებო, რომ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივი ისე იშრომებს, რომ საბჭოთა მეტალურგიულ ქარხნებს, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის სიამაყეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას მისცემს იმდენ მარგანეცს, რამდენიც საჭირო იქნება ნეტი ფოლადის გამოდნობისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! ქალაქი ჭიათურა თანდათან უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი ხდება. ყოველდღიურად მაღლდება ქალაქის მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონე. ამ მხრივ წარმატებანი მეტი გვექნებოდა, ჩვენი ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციები ხელოვნურად რომ მუშაობდნენ. განსაკუთრებით ჩამორჩება საბინაო მშენებლობის ტემპი. ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტი არადამაკმაყოფილებლად ამარაგებს ჭიათურის სამშენებლო ორგანიზაციებს საჭირო მასალებითა და მოწყობილობით.

დიდ ვალშია მშენებლებისა და მარგანეცის წარმოების წინაშე რკინიგზის ტრანსპორტი. ჭიათურაში შემოსაზიდი ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა რამდენიმე თვეა სადგურ ბროწეულაშია. თვეობით დგას ხოლმე სამტრედიის ხაზზე ჭიათურისათვის განკუთვნილი ვაგონები ცემენტით, მაშინ როცა მშენებლები ამ მხრივ დიდ ნაკლებობას განიცდიან. ფერხდება დამზადებული მარგანეცის გაზიდვა, რაც იწვევს გამაუხვეველი ფაბრიკებისა და მაღაროების მოკედნას. ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ ამ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციოს.

ჩვენი ქალაქის მშრომელები გარკვეულ უხერხულობას განიცდიან იმის გამო, რომ ჭიათურაში დღემდე არ არის აშენებული ხორცკომბინატი. ამიტომ იყო, რომ ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში დამზადებული პირუტყვი შარშან გადასამუშავებლად გაგზავნეს ბათუმში, სოჭში და ფოთში, საიდანაც გაყინული ხორცი შემოიქვთ, რაც იწვევს როგორც დიდ ხარჯებს, ისე ხორცის ხარისხის გაუარესებას.

ვთხოვთ საქართველოს მთავრობას განიხილოს ჭიათურაში ხორცკომბინატის მშენებლობის საკითხი.

იმის გამო, რომ ჭიათურისა და საჩხერის რაიონების კოლმეურნეობებში საკმარისად არ არის განვითარებული მებოსტნეობა, ქალაქ ჭიათურის საკოლმეურნეო ბაზარზე ცოტა შემოდის ბოსტნეული პროდუქტები. მუშათა საცხოვრებლებში ბოსტნეული თითქმის არ მოიქვთ. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ქალაქ ჭიათურის მეზობელ რაიონებში მებოსტნეობის განვითარების საქმეს.

ამხანაგო დეპუტატებო! სავსებით ვუჭერ მხარს სესიაზე გამოსული დეპუტატების წინადადებას იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა დამტკიცებულ იქნას. **(ტაში).**

დეპუტატ დ. გ. მამამთავრიშვილის სიტყვა

(ბოლნისის რაიონის ბოლნისის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სს რესპუბლიკის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია დიდი ასიგნობანი სახალხო ჯანმრთელობის დაცვისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს ბევრად გავადიდოთ საწოლების რიცხვი რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებებში და განვახორციელოთ მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

წელს რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა რიგებს დიდი რაოდენობით შემატებიან ახალგაზრდა სპეციალისტები — 340 ექიმი, ფარმაცევტი და სტომატოლოგი და საშუალო სასწავლებლების 1.323 კურსდამთავრებული. პირველ კურსებზე მიღებულ იქნება 1.700 კაცი. გარდა ამისა, 506 ექიმი აიმაღლებს კვალიფიკაციას ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტში.

რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებები წელს მიიღებენ 92 ავტომანქანას სასწრაფო დახმარების სადგურებისათვის და შინ დახმარებისათვის, აგრეთვე 35 რენტგენის აპარატს.

ჩვენს რესპუბლიკაში სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების მასშტაბზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ციფრები: გასული წლის მანძილზე ამბულატორიებმა, პოლიკლინიკებმა და დისპანსერებმა 15 მილიონზე მეტი კაცი მიიღეს. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საავადმყოფოებსა და კლინიკებში 438.268 კაცი მკურნალობდა.

მაგრამ მოსახლეობის საექიმო-სანიტარული მომსახურების საქმეში უდავო მიღწევებთან ერთად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, მისი ადგილობრივი ორგანოებისა და სამკურნალო დაწესებულებების მუშაობაში კიდევ ბევრი ნაკლია.

ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებათათვის 1954 წელს გამოყოფილი თანხები ჩვენ მთლიანად ვერ ავითვისეთ.

სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობის ხაზით სახსრების აუთვისებლობა გამოწვეულია სამშენებლო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობით, მშენებლობების საფონდო მასალებით მომარაგებაში არსებული ნაკლოვანებებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების სარემონტო-სამშენებლო კანტორების ცუდი მუშაობით, აგრეთვე იმით, რომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს.

საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო ჯერ კიდევ არ აქცევს საჭირო ყურადღებას ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს. საავადმყოფოების აგება, როგორც წესი, ჭიანურდება. სამრეწველო სამინისტროები ცუდად აშენებენ საავადმყოფოებს, პოლიკლინიკებსა და საბავშვო ბაგებს. მაგალითად, შავი მეტალურგიის სამინისტროს ხაზით ამ ობიექტების მშენებლობის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 52,5 პროცენტით, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს ხაზით — 32 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 70,9 პროცენტით, ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს ხაზით — 14,5 პროცენტით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამედიცინო და საბავშვო დაწესებულებები, საცხოვრებელ სახლებთან და სკოლებთან ერთად, პირველი რიგის სამშენებლო ობიექტებს წარმოადგენენ.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ავადმყოფების კვების გაუმჯობესებას, სამკურნალო დაწესებულებებთან აუცილებლად უნდა შეიქმნას დამხმარე მეურნეობანი.

საწოლების ქსელი რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებებში განუწყვეტლივ იზრდება. ამასთან დაკავშირებით, მედიცინის მუშაკთა რიცხვის სისტემატიური გადიდების მიუხედავად, ჩვენ კიდევ ბევრი ვაკანტური ადგილი გვაქვს საექიმო თანამდებობებზე. წელს ამთა რიცხვი 287-ს უდრის.

ამჟამად ჩვენ აგრეთვე მთლიანად ვერ დაგვიკომპლექტებია ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები სპეციალისტი ექიმებით და იძულებული ვართ მავმართოთ შეთავსებებს, რაც არასასურველ გავლენას ახდენს ექიმთა მუშაობის ხარისხზე.

ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად სოფლად სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამუშაოდ გაიგზავნება 190 ახალგაზრდა სპეციალისტი. ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების ხელმძღვანელებმა მათ უნდა შეუქმნან ნორმალური საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები და ამით ხელი შეუწყონ მათს შენარჩუნებას სოფლად. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუშაობის პრაქტიკაში პირველად, ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების სახელმწიფო გეგმა თითქმის მთლიანად შესრულდა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით ვერ უზრუნველყოფს სამკურნალო დაწესებულებებს ზოგიერთი მედიკამენტით.

ვლაპარაკობთ რა რესპუბლიკის სამკურნალო, პროფილაქტიკური და საბავშვო დაწესებულებების მუშაობაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს სამედიცინო მუშაკებს შორის ჯერ კიდევ არის ავადმყოფებისადმი არაგულისხმიერი, უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტები.

კომუნისტური პარტიის მოწოდების პასუხად ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში გაემგზავრა რესპუბლიკის 169 სამედიცინო მუშაკი. მათ შორის 36 ექიმი, 12 ფარმაცევტი და 121 საშუალო სამედიცინო მუშაკი. ყაზახეთის ახალი მიწების ათვისების რაიონებში სამუშაოდ ჩამოყალიბებულია სათანადო მოწყობილობით და კადრებით უზრუნველყოფილი 25-საწოლიანი საავადმყოფო. სამედიცინო მუშაკთა 4 ბრიგადა გაემგზავრა ყაზახეთის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში.

სოფლად ჯანმრთელობის დაცვის დარგში უკანასკნელ ხანს გვაქვს ერთგვარი მიღწევები, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია.

ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ქალაქებისა და სოფლების სანიტარულ მდგომარეობას. სამწუხაროდ ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი ზოგჯერ ავიწყდებათ. მაგალითად, ქალაქები რუსთავი, ტყვარჩელი, გორი, ტყიბული არადამაკმაყოფილებელ სანიტარულ მდგომარეობაში არიან. ამხანაგ დეპუტატებს დაბეჯითებით ვთხოვთ მეტი ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს, სისტემატურად გაუწიონ საჭირო დახმარება ადგილებზე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს.

ჩვენ ყველა საჭირო დასკვნას გავაკეთებთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის კრიტიკიდან. მედიცინის მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმია კვლავაც ძალების დაუზოგავად იშრომებს საბჭოთა ადამიანების საკეთილდღეოდ, ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. **(ტაში).**

სიტყვები იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგულებელყოფენ თესვის პროგრესულ მეთოდს

თერჯოლის რაიონის მოწინავე კოლმეურნეები და მექანიზატორები მომზადებული შეხვდნენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს. შერჩევით დაიწყო პირუტყვის საკვები კულტურებისა და სიმინდის თესვა. თესვის პირველი დღეებიდანვე ნაყოფიერად მუშაობენ სოფლების თუზის, ეწერის, ქვედა ალისუბნისა და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

მაგრამ შემოწმებამ გვიჩვენა, რომ რაიონში საგაზაფხულო თესვის მოკლე და აგროტექნიკურ ვადებში ჩასატარებლად ყველაფერი რიგზე როდია. თესვის პირველ დღეებში ზოგიერთ კოლმეურნეობაში ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს, ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული მოსავლიანობის გადიდების ყველა შესაძლებლობა.

თერჯოლის მტს-მა წელს გეგმით სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად ორჯერ მეტი უნდა დათესოს, ვიდრე გასულ წელს. ეს მტს-ის მუშაკებისაგან მთელი ენერგიის მაქსიმალურად დაძაბვას მოითხოვს, მაგრამ ამას აქ არ ითვალისწინებენ. მტს-ის მუშაკები ჩივიან, რომ მიცემული დავალების შესრულება თითქოს შეუძლებელი იყოს. მაგრამ ასე როდია. არსებულ ორ სათეს მანქანას ვერ იყენებენ სრული დატვირთვით. მტს-ის მუშაკების უპასუხისმგებლობა იქამდე მივიდა, რომ კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანა დაშალეს და მწკრივად სათეს მანქანად გადააკეთეს.

სოფელ ღვანკითის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ წელს კვადრატულ-ბუდობრივი წესით 20 ჰექტარი სიმინდი უნდა დათესოს. მაგრამ ამ დავალების შესასრულებლად აქ თავს არ იწუხებენ. კოლმეურნეობის აგროტექნიკოსმა დ. ბუსკივაძემ არც კი იცის, როგორ უნდა დაითესოს სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად და არც არის ამით დაინტერესებული. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. უკლებას და აგრონომ რ. უგრეხელიძის სიტყვით კოლმეურნეობებში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები მაღალხარისხოვნად მიმდინარეობს. ნამდვილად კი ხვნა ცუდად და ნელი ტემპით წარმოებს, მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია შრომის დისციპლინა. მაგალითად, 22 მარტს ძემინდვრეობის მეორე ბრიგადაში შრომისუნარიანი 32 კოლმეურნიდან სამუშაოდ მხოლოდ 17 გამოვიდა. მსგავს ფაქტებს ვხვდებით მესამე და მეხუთე ბრიგადებში. კოლმეურნეობაში დღემდე არ მოუწყვიათ სოციალისტური შეჯიბრება, სუსტია პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა. ბევრი კოლმეურნე პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას არ იცნობს.

ამ კოლმეურნეობაში საგაზაფხულო ხვნაზე მუშაობს თერჯოლის მტს-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის ორი ტრაქტორი. მაგრამ მანქანებს სრული დატვირთვით ვერ იყენებენ. შვიდ სამუშაო დღეში ორმა ტრაქტორმა მხოლოდ 17 ჰექტარი მოხნა. ამის მიზეზი ის არის, რომ ტრაქტორისტები სამუშაოზე გვიან გადიან, სატრაქტორო ბრიგადაში მოწყობილი არ არის ორ ცვლად მუშაობა. მტს-ის დირექცია ამ ნაკლის გამოსწორებისათვის თავს არ იწუხებს.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში ჩამორჩნენ ახალი თერჯოლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ა. დევიძე ხელმძღვანელობს, სრული დატვირთვით ვერ იყენებს მანქანებს. მოუწყობელია ორ ცვლად მუშაობა. ნიადაგის კარგად დამუშავებას ყურადღება არ ექცევა. ერთ კვირაზე მეტია გადახნული ფართობები დაუფარცხავად არის მიტოვებული.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში ნაკლოვანებებს ვხვდებით ზედა საზანოს კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“, რუფოთის სტალინის სახელობის, ზედა ალისუბნის ვოროშილოვის სახელობის, გოგნის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობებშიც.

წელს თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებმა პირუტყვისათვის უნდა დათესონ საკვები ჭარხალი. ამისათვის მათ 18 ცენტნერი ჭარხლის თესლი სჭირდებათ. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კი რაიონს მხოლოდ 5 ცენტნერი თესლი გამოუყო. ჭარხლის თესვის აგროვადები უკვე იწურება. მტს-ის ხელმძღვანელობა ხშირად გზავნის მოხსენებითს ბარათებს ზემდგომ სამეურნეო ორგანოებში, თხოულობს ჭარხლის თესლის დამატებით გამოყოფას, მაგრამ უშედეგოდ. დრო მიდის, თესლი კი არსად ჩანს.

როდემდის გაგრძელდება ასეთი უდარდელი დამოკიდებულება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისადმი?

ვ. ციბეკიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ხეხილის ბაღის შეწამლვა ზეთოვანი ემულსიით გორის რაიონის სოფელ ბერბუკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

33 მანეთი შრომადღეზე

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სოფელ რუხის კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთი მსხვილი და მრავალდარგოვანი მოწინავე კოლმეურნეობაა. კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს ჩაის კულტურა წარმოადგენს. აქედან გასულ წელს კოლმეურნეობამ 12 მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღო. შარშან ყოველ ჰექტარ მოსავლიან ჩაის პლანტაციაში მიღებულ იქნა 4.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ღოთოლი.

გარდა ჩაით მიღებული შემოსავლისა, აქ ყოველწლიურად იზრდება შემოსავალი მეცხოველეობის პროდუქტებიდან, ტუნგოდან, მეაბრეშუმეობიდან. ყველა ამ დარგიდან შემოსავალმა 2 მილიონ მანეთს გადააჭარბა და კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი 14 მილიონ მანეთს აღწევს. კოლმეურნეებს თვითეულ შრომადღეზე 33 მანეთი ფულად და 1,5 კილოგრამი მარცვლეული ერგოთ.

ბევრი კოლმეურნე გამომუშავებულ შრომადღეებზე 30-40 ათას მანეთს მიიღებს.

გინეგი პირუტყვისათვის

ფალენჯიხა. (სპეც. კორ.). საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნასთან ერთად მოწინავე კოლმეურნეობები მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ პირუტყვისათვის კეთილმოწყობილი სადგომების მშენებლობას. სოფელ ობუჯის მოლოტოვის სახელობის, ჯგალის რუსთაველის სახელობისა და კვარაცხელიას სახელობის, სოჩინოს ტელმანის სახელობის, ფახულარის ლენინის სახელობის, ჭალის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებმა შარშან პირუტყვისათვის ააშენეს სტანდარტული ბინები.

წელს პირუტყვისათვის ახალი ბინა ააშენა სოფელ ფალენჯიხის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ. აქკამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მეცხოველეობის ფერმის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ფერმაში ეწყობა დანადგარები: საკვების დასაორთქლებელი მანქანა, უნივერსალური წისქვილი, კოპტონის სამსხვრევი, უხეში საკვების საჭრელი მანქანა. საკვების გატანა მთლიანად მექანიზებული იქნება, მოეწყობა პირუტყვის ავტომატური სარწყულებელი და სხვ.

პირუტყვისათვის მექანიზებულ ბინებს აგებენ აგრეთვე სოფელ ნაკიფუს სტალინის სახელობის, მიქავას მიქოიანის სახელობის, ჯგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში.

საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საკითხთა აზიის ქვეყნების კონფერენციაზე

8 აპრილის დღის სხდომა

დელი, 9 აპრილი. (საკდესი). საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საკითხთა აზიის ქვეყნების კონფერენციის გუშინდელი დილის სხდომა გაიხსნა სირიის პარლამენტის წევრის სირიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მაარუფ ედ-დაჯალიბის თავმჯდომარეობით. კონფერენცია განაგრძობდა დღის წესრიგის პირველი პუნქტის — პოლიტიკური საკითხების განხილვას.

სიტყვა პირველმა წარმოთქვა იურისტმა ადელ ამინმა, რომელიც კონფერენციას ესწრება, როგორც ეგვიპტის მეთვალყურე. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ბაზები აზიის მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე, და თქვა, რომ აზიის ხალხები იბრძვიან იმისათვის, რომ მათი ქვეყნების ტერიტორიაზე მოისპოს უცხოელთა ეს სამხედრო ბაზები.

შემდეგ სიტყვა ეძლევა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგატს უმაღლესი სახალხო კრების წევრს კან ნან უკს. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დაუყოვნებლივ მიეცეს მისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

კან ნან უკმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის სახელით შეიტანა წინადადება, რომ კონფერენციამ მოუწოდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მთელი მსოფლიოს ხალხებს დაამყაფინებულ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები.

ბირმის დელეგატმა ტაკინ ლაი მაუნგმა წაიკითხა ბირმის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის ტაკინ კოდო ხმაინგის მისალმება კონფერენციის მონაწილეებისადმი.

დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე იაპონიის პარლამენტის წევრმა ქანმა ტომი კორამ და პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის სამუშაო კომიტეტის წევრმა სინგ გურმუკ მუსაფირმა.

შემდეგ კონფერენცია შეუდგა აზიის ეკონომიური პრობლემების განხილვას. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა იაპონიის დელეგატმა ეკონომიკის პროფესორმა იოსი კობაიასიმ.

იოსი კობაიასის მოხსენება

მისი მოხსენების პირველი განყოფილება მიეძღვნა აზიის ეკონომიკის ომისშემდგომ ცვლილებებს. მან აღნიშნა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აზიის მთელი რიგი ქვეყნები განთავისუფლდნენ კოლონიური სტატუსისაგან. ეს ქვეყნები ახორციელებენ ეკონომიური განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციის თავიანთ გეგმებს.

მაგრამ, განაცხადა მან, დასავლეთის კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავისი წარსული ეკონომიური ბატონობის ნაშთებს და გამალებითაც კი ცდილობს ააღორძინოს თავისი წინანდელი ბატონობა აზიის ზოგიერთ რაიონში. ჩვენს მრეწველობას, თუ ასეთი არსებობს, ბევრ შემთხვევაში უცხოეთის კაპიტალი უწევს კონტროლს, ხოლო ჩვენს სოფლებს ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათ თავი უკიდურესი სიღატაკისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ კორეასა და ვიეტნამში შეწყდა საომარი მოქმედება, აზიას კვლავ ემუქრება ახალი აგრესიული ომის საფრთხე. მაშასადამე, სამხედრო და ეკონომიური ღონისძიებანი ერთ-ერთი ყველაზე ძნელი დაბრკოლებაა ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევის, ინდუსტრიალიზაციისა და აზიის ხალხთა ცხოვრების გაუმჯობესების გზაზე. საომარი მზადების გამო შორეულ აღმოსავლეთში შემოღებულია სასტიკი შეზღუდვები მეტი წილი აზიის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მიმართ. უეჭველია, ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანია იმ ფაქტორთაგან, რომლებიც აიხსნება აზიის ხალხებისათვის საგარეო ბაზრების შემცირება და მათი ვაჭრობის ახლანდელი მოდუნება.

კობაიასიმ აღნიშნა, რომ ომის შემდეგ იაპონია აზიის ბაზრებს მოწყვეტილი აღმოჩნდა და რომ იაპონის მსხვილი კაპიტალისტების ჯგუფი ცდილობს ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით ააღორძინოს სამხედრო მრეწველობა, რათა აზიის ქვეყნებში გაასაღოს ნარეული ამერიკის პოლიტიკის — სამხედრო კავშირებისა და სამხედრო დახმარების პოლიტიკის შესაბამისად. კობაიასიმ აღნიშნა, რომ საპროტესტო მოძრაობა იაპონიაში იაპონიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ დღითიდღე ძლიერდება.

შეეხო რა აზიის ქვეყნებს შორის თანასწორუფლებისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე ვაჭრობის საკითხს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აზიის საერთაშორისო ვაჭრობა კლებულობს, ამასთან განსაკუთრებით საშიშია იმ საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასების დაცემა, რომლებიც აზიის ქვეყნებიდან გაიქვთ.

„ასეთი მდგომარეობის დროს, — თქვა კობაიასიმ, — აზიის ხალხებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის გაფართოება და ადა პროდუქციის ფასების სტაბილიზაცია.

აზიის ხალხთა შორის ვაჭრობა, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, იზღუდება არაეკონომიური ხასიათის მიზეზებით. როგორც ყველა ჩვენგანმა იცის, საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, კორეა და ვიეტნამი ახლა აზიის არსებითი ნაწილია. მაგრამ ვაჭრობა ამ ქვეყნებსა და დანარჩენ აზიას შორის მეტად თუ ნაკლებად შეზღუდულია და ეს ხდება არა იმიტომ, რომ ეს სურთ აზიის დაინტერესებულ ქვეყნებს, არამედ ამას იწვევს იმ არაეფექტური სახელმწიფოთა უგულებელყოფილი მოთხოვნები, რომლებიც მსოფლიოს ამ ნაწილში ძალიან გავლენას ახდენენ.

საბჭოთა კავშირი, აგრეთვე ჩინეთი და სხვა ის ქვეყნები, რომლებიც სოციალიზმისაკენ მიდიან, ისეთი ტემპითა და ისეთი მასშტაბით ახორციელებენ თავიანთ ეკონომიურ მშენებლობას, რომ მათ შეუძლიათ დანარჩენ აზიასთან ვაჭრობა აიყვანონ ისეთ დონემდე, რომელიც ომამდელზე ბევრად უფრო მაღალი იქნება.

უკანასკნელი ორი თუ სამი წლის განმავლობაში გაბედული კამპანია წარმოეს ომისათვის, რომ მოისპოს ხელოვნური შეზღუდვები ვაჭრობაში ერთი მხრივ ჩინეთს, საბჭოთა კავშირს და აღმოსავლეთ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და, მეორე მხრივ, აზიის ქვეყნებს შორის. ინდოეთმა, ცეილონმა, ინდონეზიამ და ბირმამ დაიწყეს აქტიური ვაჭრობა ზემოხსენებულ ქვეყნებთან და თავიდან იცილებენ გარეგან ყოველგვარ ჩარევას. პაკისტანი და მალაია აწარმოებენ მცირეოდენ ვაჭრობას ჩინეთთან. ტაილანდში, ფილიპინებზე და იაპონიაშიც კი, სადაც დაინტერესებული ხელისუფალნი ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩქარი თანამშრომლობით აზორციელებენ თავიანთ პოლიტიკას, სულ უფრო ხმამაღლა გაისმის საზოგადოებრიობის მოთხოვნები ჩინეთთან ვაჭრობის შესახებ“.

კობაიასიმ განაცხადა, რომ აზიის ხალხებს გულწრფელად სურთ გაფართოონ ვაჭრობა დასავლეთის სახელმწიფოებთან, მაგრამ ვერ დათანხმდებიან იმაზე, რომ ამ ვაჭრობას ცალმხრივი კოლონიური ხასიათი ჰქონდეს.

შეეხო რა აზიის ქვეყნების ეკონომიური განვითარებისა და მათი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საკითხს, კობაიასიმ აღნიშნა, რომ აზიის ქვეყნების განვითარების გეგმების განხორციელებას ზევრი დაბრკოლება ეღობება, უწინარეს ყოვლისა ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკის გამო, რომლებიც ცდილობენ ნახევრადკოლონიის მდგომარეობაში დაყოვნონ აზიის ქვეყნები. ეჭვი არ არის, ამ განზრახვის გამოხატულებაა ამერიკის „დახმარება“, რომელიც უმთავრესად სამხედრო მიზნებს ისახავს. ქვეყნები, რომლებმაც ასეთი დახმარება მიიღეს შეერთებული შტატებისაგან, იძულებული არიან ის მცირე რამ, რასაც ისინი იღებენ, ზღარ ეჭით, რომ შეურიგდენ თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობის შელახვას და მილიტარიზაციას (ამერიკის ბაზები), და გადიდონ საკუთარი სამხედრო ხარჯები. ამ თეზისის დასადასტურებლად კობაიასი იმოწმებს იაპონიას, რომელიც ურთიერთუშშრობის შეთანხმება დადო შეერთებულ შტატებთან. იაპონია ამაოდ მათ იმყოფება ისეთ არასახარბიელო მდგომარეობაში, რომ მას არ შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ შეადგინოს საკუთარი ბიუჯეტი და იძულებულია ასობით მილიარდი იენი ხარჯოს სამხედრო მიზნებისათვის.

აზიის ქვეყნების სრულ განთავისუფლებას დასავლეთის ბატონობისაგან, განაცხადა შემდეგ კობაიასიმ, ხელი უნდა შეეწყოს ამ ქვეყნების ინდუსტრიალიზაციამ. ამავე დროს დასავლეთის ქვეყნების ეგრეთწოდებული „დახმარება“ და კაპიტალდაბანდებანი, ისევე როგორც წინათ, მთავარ მიზნად ისახავენ სტრატეგიული და სამრეწველო ნედლეულის გამოყენებას.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი კობაიასიმ მიუძღვნა აგრარულ პრობლემებს, უწინარეს ყოვლისა, მიწის რეფორმების საკითხს, რომლებიც აზიის წარმატებითი ეკონომიური განვითარების ძირითადი ნაბიჯია. ზოგიერთ ქვეყანაში, თქვა კობაიასიმ, ისეთებში, როგორიც არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, განხორციელდა ან ახლა ხორციელდება მიწის გაბედული რეფორმა, რომლის მეოხებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა სწრაფად დიდდება, ხოლო გლეხთა მყიფეელობითი უნარი კოლოსალურად იზრდება.

შემდეგ კობაიასიმ განაცხადა, რომ მიწის წარმატებითი რეფორმისა და გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველი შეიძლება იყოს აგრეთვე მიწის გადაცემა იმითთვის, ვინც მას ამუშავებს.

მოხსენების დასასრულს კობაიასიმ იმედი გამოთქვა, რომ ამ კონფერენციაზე ეკონომიური პრობლემების ყოველმხრივ განხილვა ხელს შეუწყობს აზიის ხალხთა ურთიერთთანამშრომლობას მათ ეკონომიური პროგრესის ინტერესებისათვის.

* * *

ცეილონის დელეგაციის მეთაურის დოქტორ ამარასინგჰამის თანამოხსენება მიეძღვნა ომისშემდგომ პერიოდში მსოფლიო ბაზრის მდგომარეობის საკითხს და სოციალისტური სამყაროს ქვეყნების ახალი ბაზრის შექმნას. მან კონკრეტული მაგალითებით ცხადყო, თუ რა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს სუსტადგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკაზე დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან ვაჭრობა, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, რომლებსაც ქმნიან დასავლეთის სახელმწიფოები და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები.

ამარასინგჰამმა დაწვრილებით ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, თუ რა გზით უნდა გადაიჭრას აგრარული პრობლემა აზიის ქვეყნებში და გლეხობის ცხოვრების დონის ამაღლების პრობლემა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, საბჭოთა კავშირის საკავშირო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ვ. ნესტეროვმა. მან თქვა, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, რომლებიც ცდილობენ მონოპოლისტური ჯგუფების ინტერესებს დაუმორჩილონ სხვა ქვეყნების ეკონომიკა, სსრ კავშირი და სოციალისტური ბანაკის ქვეყნები ეკონომიური ურთიერთობის დარგში ეყრდნობიან მშვიდობიანი თანაარსებობისა და აზიის ქვეყნების ეკონომიური განვიდარებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობის პრინციპებს.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

პარტიულ თემაზე

რაიკომი და ჩამორჩენილი კოლმეურნეობები

მიუხედავად თანაბარი ხელსაყრელი პირობებისა, კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობებმა გასული სამეურნეო წელი მნიშვნელოვნად განსხვავებული შედეგებით დაამთავრეს. ეს განსხვავება ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ რაიონისათვის ერთ-ერთი წამყვანი დარგის — საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების, კერძოდ კი მისი პროდუქტიულობის ზრდის საქმეში.

რაიონში შედარებით მოწინავე კოლმეურნეობების გვერდით არის ისეთი სასოფლო-სამეურნეო არტელები, რომლებიც არა მარტო გასულ წელს, არამედ უფრო ადრეც სერიოზულად ჩამორჩებოდნენ და უკან ეწეოდნენ რაიონს. სოფლების დუზაგრამის, ლამბალოს, ზიარის, ჯიმითის, ჩალაუბნის და სხვა კოლმეურნეობები წლების მანძილზე სამარცხვინოდ ჩამორჩებიან მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების შესრულებაში. საკმარისია ითქვას, რომ სოფელ ზიარის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 163 ლიტრი რძე.

მართალია, მიმდინარე წელს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საქმეში რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში არის ერთგვარი წინსვლა, მაგრამ სამარცხვინო და მიუტევებელია ის, რომ ამ მხრივ ზოგან არათუ გააუმჯობესეს მდგომარეობა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გააღრმავეს ჩამორჩენა. მაგალითად, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიმდინარე წელს უფრო ცუდი მაჩვენებლები აქვთ სოფელ ბოგდანოვკის სტალინის სახელობის, ჯიმითის ორჯონიკიძის სახელობის, დუზაგრამის სტალინის სახელობისა და ზიარის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობებს.

ისმება კითხვა: როგორ ეხმარება პარტიის რაიკომი ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, რა ღონისძიებებს ახორციელებს იმისათვის, რომ მათ თავი დააღწიონ ჩამორჩენას?

მართებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რაიკომი სრულ უყურადღებობას იჩენს ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისადმი. შეიძლება დავასახელოთ ფაქტები, როცა რაიკომის მუშაკები არასისტემატურად, მაგრამ მაინც დადიან ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში. რაიკომის პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე განიხილავენ კოლმეურნეობების ჩამორჩენის მიზეზებს, სახავენ ღონისძიებებს. მაგრამ საქმე წინ არ მიდის, ნაკლოვანებები ძალიან ნელი ტემპით სწორდება.

რით არის გამოწვეული ასეთი მდგომარეობა? ფაქტები ცხადყოფენ, რომ რაიკომის დახმარებას ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისადმი ეპიზოდური ხასიათი აქვს, იგი მოკლებულია კონკრეტულობას. ცალკეული დადგენილებანი დეკლარაციულია და ამასთან, რაც მთავარია, ივიწყებენ, რომ დადგენილებათა მიღება მხოლოდ საქმის დასაწყისია, მთავარია მიღებულ გადაწყვეტილებათა განმტკიცება ყოველდღიური ორგანიზატორული საქმიანობით.

პარტიის რაიკომის პლენუმებისა და ბიუროს სხდომების გადაწყვეტილებებში, რომლებიც ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა მუშაობას შეეხება, მთავარი ადგილი ნაკლოვანებების უბრალო ჩამოთვლას უჭირავს, ხოლო შემდეგ კი, როგორც წესი, თითქმის ყველა დადგენილებაში მეორდება ასეთი ზოგადი ფრაზები: „დაევალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და პარტორგანიზაციის მდივანს მიიღონ გადამჭრელი ზომები კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის“, „გააძლიერონ მუშაობა“, „მიაღწიონ გარდატეხას“, და სხვ.

ზოგჯერ იღებენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებსაც. მაგრამ, სამწუხაროდ, რაიკომი თავის მოვალეობას კოლმეურნეობებისადმი დახმარების საქმეში ხშირად მხოლოდ დადგენილებების მიღებით ამთავრებს.

ჯერ კიდევ გასული წლის 12 თებერვალს რაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის 1953 წლის მუშაობის შედეგები. რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებაში მითითებულია მიზეზები, რომელთა შედეგადაც კოლმეურნეობაში დაბალი იყო მოსავლიანობა, არ სრულდებოდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებული იყო იმაზე, რომ შრომისუნარიან კოლმეურნეთა 35 პროცენტს შრომადღეების საკალდებულო მინიმუმი არ ჰქონდა გამომუშავებული. მდგომარეობის გამოსასწორებლად რაიკომის ბიუროომ დასახა ვრცელი ღონისძიება. მაგრამ ყველაფერი ამით დამთავრდა. ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის თითქმის არცერთი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამთ, კონკრეტულად არავინ არ დაინტერესებულა და არ უზრუნია სისრულეში მოეყვანა რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილება. ხოლო დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, როცა რაიკომის ბიურო კვლავ დაუბრუნდა დასახელებული კოლმეურნეობის საკითხის განხილვას, გამოირკვა, რომ იქ არათუ დაძლიეს ჩამორჩენა, არამედ, პირიქით, იგი კიდევ უფრო გაღრმავდა.

ცალკე კოლმეურნეობათა სამეურნეო წარუმატებლობა უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები არ მუშაობენ იმ ამოცანების შესაბამისად, რაც მათ წინაშე პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის, ივნისის და იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებებით არის დასახული. კაჭრეთის რაიონში ყველგან როდი აქვთ სწორად გაგებული ის ჭეშმარიტება, რომ სამეურნეო წარმატება შეუძლებელია მოპოვებულ იქნას პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაუწევლად. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების როლის შეუფასებლობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პარტიის რაიკომი და ინსტრუქტორთა ჯგუფები კაჭრეთისა და ბადიაურის მტს-ების ზონაში საჭირო დახმარებასა და ხელმძღვანელობას ვერ უწევენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებს.

სოფელ კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. მთავრიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი შ. ბაცანაძე), რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, რაიკომიდან რამდენიმე ათეული მეტრით არის დაშორებული. ამ კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში შინაპარტიული მუშაობა თითქმის მთლიანად ჩაშლილია. აქ 1954 წლის სექტემბრიდან მიმდინარე წლის აპრილამდე პარტბიუროს სხდომები არ ჩაუტარებიათ, არარეგულარულად, შემთხვევიდან შემთხვევამდე იწვევენ პარტიულ კრებებს. კომუნისტების დიდ ნაწილს პარტიული დავალება არა აქვს. არ ზრუნავენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. საკოლმეურნეო წარმოებაში დაბალია კომუნისტების ავანგარდული როლი, მემინდვრეობის ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საagიტაციო მუშაობა, ჩაშლილია კომუნისტების პოლიტიკური სწავლება. მართალია, ამ კოლმეურნეობაში ხშირად მიდიან პარტიის რაიკომის მუშაკები, მაგრამ ისინი არ იცნობიან პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას, საჭიროდ არ თვლიან კონკრეტულად დაეხმარონ პარტორგანიზაციის ბიუროსა და მის მდივანს.

რაიონის ცალკე კოლმეურნეობების ჩამორჩენა იმითაც არის გამოწვეული, რომ მათ სათავეში უდგანან ისეთი მუშაკები, რომლებსაც არ შესწევთ სათანადო უნარი წარმატებით უხელმძღვანელონ საზოგადოებრივ მეურნეობას. ჯერ კიდევ ჯეროვნად არ არის გათვალისწინებული პარტიის არაერთგზის მითითება იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე საკოლმეურნეო წარმოების ცენტრალური ფიგურაა.

საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრების შერჩევაში პარტიის რაიკომი ზოგჯერ სერიოზულ შეცდომას უშვებს. ჯერ კიდევ ადრე რაიკომმა სოფელ ლამბალოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს რჩევა მისცა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ი. აბდულაევი აერჩიათ. ი. აბდულაევმა, რომელიც რაიკომს საქმიანი ნიშნის და უნარის მიხედვით წინასწარ არ ჰყავდა სათანადოდ შესწავლილი, კოლმეურნეობას სერიოზული ზიანი მიაყენა. ის ბოროტად იყენებდა თავის თანამდებობრივ მდგომარეობას, უხეშად არღვევდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, ანიავებდა საკოლმეურნეო ქონებას, სჩადიოდა სიყალბეს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ისეც ჩამორჩენილი კოლმეურნეობა უკანასკნელ წლებში ეკონომიურად კიდევ უფრო დასუსტდა. მართალია, რაიკომის ბიურომ წელს განიხილა აბდულაევის საკითხი და დასაჯა იგი, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, დიდი დაგვიანებით მოხდა.

პარტიის რაიკომი უეჭველად შეცდა აგრეთვე, როცა სოფელ დუზაგრამის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს ურჩია თავმჯდომარედ მ. მირზაევი აერჩიათ. მირზაევი, უინიციატივოდ, მოუქნელად მუშაობს, კოლმეურნეთა შორის არა აქვს ავტორიტეტი. შემჩნეულია კოლმეურნეობის თავმჯდომარისათვის შეუფერებელ საქციელში. პარტიის რაიკომს ეს შეცდომა დღემდე არ გამოუსწორებია.

რაიონში კიდევ არიან ცალკეულ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომლებსაც უძნელდებათ თავი გაართვან დაკისრებულ ნოვალეობას. საკოლმეურნეო კადრების არასწორ შერჩევასთან ერთად პარტიის რაიკომი ნაკლებ დახმარებას უწევს ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო არტელების თავმჯდომარეებს, არ უქმნის მათ ყველა პირობას დაეუფლონ რთული საარტელო მეურნეობის მართვას.

მიმდინარე წლის მარტის ბოლო რიცხვებში გამართულ რაიკომის პლენუმზე სამართლიანად გააკრიტიკეს მტს-ის მუშაკები იმისათვის, რომ ისინი უგულებელყოფენ ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისადმი დახმარების საქმეს, დაასახელეს ფაქტები იმის ნათელსაყოფად, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ნაკვეთებზე სამუშაოთა შესრულებას მტს-ი, როგორც წესი, მხოლოდ მაშინ იწყებს, როცა თესვის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკური

საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საკითხთა აზიის ქვეყნების კონფერენციაზე

(დასასრული)

საბჭოთა კავშირის ეს პოლიტიკა ნესტეროვმა დაადასტურა კონკრეტული მონაცემებითა და ფაქტებით.

დასასრულ ნესტეროვმა ილაპარაკა დაბრკოლებებზე, რომლებსაც შეეფრთხილა შტატები უქმნიან ვაჭრობის განვითარებას აზიასა და მორეულ აღმოსავლეთში.

დისკუსიაში ეკონომიურ საკითხებზე მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ჩინეთის დელეგატმა ცინ ხან-შენმა.

შემდეგ კონფერენცია შეუდგა სოციალური და კულტურული საკითხების განხილვას. ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის დელეგატმა, ინდოეთის ბავშვთა დაცვის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ქ-ნმა ხანა სენმა. მან უამბო დამსწრეთ ინდოეთში ქალთა მოძრაობის ჩასახვაზე და იმაზე, თუ რა დაბრკოლებების გადალახვა მოუწევთ ინდოეთის ქალებს, სანამ ისინი მიიღებენენ მამაკაცის თანასწორ უფლებებს. ამავე დროს სენმა აღნიშნა, რომ ინდოეთში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ჯანმრთელობის დაცვის დარგში, რომელიც საავალო მდგომარეობამდე მიიყვანა კოლონიურმა რეჟიმმა. ასეთსავე სერიოზულ პრობლემად მიაჩნია სენს ქალთა უმუშევრობა. ამით დამთავრდა 8 აპრილის დილის სხდომა.

8 აპრილის დღის სხდომა

დელი, 9 აპრილი. (საკდესი). კონფერენციის 8 აპრილის დღის პლენარული სხდომა გაიხსნა გურმუკან სინგ მუსაფირის თავმჯდომარეობით. იგი მიეძღვნა აზიის პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და კულტურული პრობლემების განხილვას, რაც დაიწყო წინა სხდომებზე.

პირველი გამოვიდა ბირმის დელეგაციის მეთაური ცნობილი ადვოკატი უ ხლა ჯო. მან განაცხადა: ბირმელ ხალხს ძლიერ სურს მშვიდობა, რადგან ჩვენ მწარე გამოცდილებით გავიგეთ, თუ რა არის ომი. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ჩვენი ქვეყნის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობისა და მეგობრობის ვითარებაში, ამიტომ ჩვენ მოვედით აქ, რათა მონაწილეობა მივიღოთ კონფერენციაში, რომელიც მიზნად ისახავს შეანელოს დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში, ესე იგი ხელი შეუწყოს მშვიდობის შენარჩუნებას.

მან განაცხადა, რომ ბირმელი ხალხი იცავს თავის დამოუკიდებლობას გომინდანელი ინტერვენტებისაგან, რომლებიც ანადგურებენ ბირმის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებს.

უ ხლა ჯომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბირმელი ხალხი გადაჭრით გმობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკსა და სხვა სამხედრო პაქტებს, რომლებიც პირდაპირი მუქარაა ბირმის უშიშროებისათვის, ისევე როგორც მთელი აზიის უშიშროებისათვის. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის პოლიტიკის საფუძველი, თქვა მან, პირდაპირ ეწინააღმდეგება ზუთ პრინციპს.

ჩვენ არ შეგვიძლია, ამბობს უ ხლა ჯო, კვლავ შევურიგდეთ კოლონიალიზმს აზიაში ან რაიმე ცდას — გათიშონ აზია ერთმანეთისაგან მტრულ დაჯგუფებებად.

შემდეგ გამოვიდა ინდოეთის პარლამენტის წევრი (ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიისაგან) კალელკარი. მან აღნიშნა აზიის ქვეყნების უდიდესი კულტურული მემკვიდრეობა და განაცხადა, რომ საჭიროა უფრო ფართოდ შეისწავლონ აზიის ქვეყნების ისტორია, კულტურა და ლიტერატურა.

კალელკარის გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარის ადგილი დაიკავა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგატმა პაკ დენ აიმ.

აზიის ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობის პრობლემისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა ტაჯიკეთის პოეტმა მირზო ტურსუნ-ზადემ. მან ილაპარაკა, თუ რა შესანიშნავი მიღწევები აქვს ტაჯიკ ხალხს საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მათ შორის კულტურის დარგში, ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ტაჯიკეთს ეშვიენ მეგობრულად განწყობილი დელეგაციები აზიის ქვეყნებიდან.

თავისი გამოსვლა მირზო ტურსუნ-ზადემ დაამთავრა სიტყვებით: „ახლა მსოფლიოს ყველა ხალხს, მათ შორის აზიის ხალხებსაც, რომლებიც გადაჭრით უარყოფენ ომის გეგმებს, სურთ იარონ ქვეყნების მეგობრობის, მშვიდობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის ფართო, ნათელ გზებით. ამის დამდასტურებელია აზიის ქვეყნების კონფერენცია, რომელიც მოწვეულია დელში — მშვიდობისმოყვარე დიდი ინდოელი ხალხის დედაქალაქში".

კონფერენციის მისასალმებლად მოვიდა დელის ქალთა ორგანიზაციების დელეგაცია. ყველა დამსწრენი ფეხზე ადგნენ და მქუხარე ტაშით შეხვდნენ ინდოეთის დედაქალაქის მშრომელ ქალთა წარმომადგენლებს, რომლებმაც კონფერენციის ტრიბუნიდან მოიწონეს მისი მოწვევის მიზნები.

დღის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე სირიის პარლამენტის წევრი ამდულ ქერიმ ზუბური, უცბოეთთან კულტურული ურთიერთობის ჩინეთის სახალხო საზოგადოების თავმჯდომარე ჩუ ტუ-ნანი და იაპონიის პარლამენტის ყოფილი წევრი ბუდისტი მოღვაწე ტაკეფუ კურუმა.

9 აპრილს მოეწყობა სხდომები სხვადასხვა კომისიებისა, რომლებიც სწავლობენ აზიის ცალკეულ პრობლემებს.

8 აპრილს საღამოს ინდოეთის დედაქალაქის მოქალაქეებმა დიდი დარბაზობა გამართეს აზიის ქვეყნების კონფერენციის დელეგატების პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრო დელის საზოგადოებრიობის ასობით წარმომადგენელი.

დელი, 10 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ დამთავრდა საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საკითხთა აზიის ქვეყნების კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი რეზოლუციები პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიურ და კულტურულ საკითხებზე. მან მზარი დაუპირა მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს და გაილაშქრა კოლონიალიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

ამერიკის შეიარაღებული ძალები გაყვანილ უნდა იქნან ფაივანის რაიონიდან

ბირმის საზოგადოებრიობის მოთხოვნა

პეკინი, 10 აპრილი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება რა რანგუნის გაზეთის „ნიუ-რანგუნ იენინგ პოსტის" ცნობას, იუწყება, რომ ბირმის ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ — „დობამამ", ბირმის მშვიდობისათვის ბრძოლის სახალხო ფრონტმა, ბირმის ხალხის ერთიანობის პარტიამ და მუშათა და გლეხთა პარტიამ — გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება, რომელშიც მოითხოვეს დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნან ამერიკის შეიარაღებული ძალები ტაივანიდან და ტაივანის სრუტიდან და შეწყდეს ამერიკის ჩარევა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

ნერუსა და ფამ ვან დონგის ერთობლივი კომუნიკე

დელი, 10 აპრილი. (საკდესი). როგორც დელის რადიო იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ფამ ვან დონგმა ერთობლივ კომუნიკეში განაცხადეს, რომ ორი ქვეყნის მთავრობები მზარს უჭერენ ჟენევის შეთანხმებებს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან ამ შეთანხმებათა პირობები და მიაღწიონ მათ შესრულებას.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ ნერუმ და ფამ ვან დონგმა მიაღწიეს ურთიერთგაგებას იმის შესახებ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ არჩევნებს ვიეტნამში და ვიეტნამის ერთიანობის განხორციელებას ჟენევის შეთანხმებათა შესაბამისად. ამ შეთანხმებათა წარმატებით შესრულება დიდი წვლილი იქნება არა მარტო ვიეტნამის, არამედ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერთიანობისა და მშვიდობის საქმეში. კომუნიკეში ხაზგასმით აღნიშნულია: ორი სახელმწიფო მოღვაწე აღიარებს, რომ საერთაშორისო კომისიებმა და ჟენევის შეთანხმებათა მონაწილეებმა თავიანთი ერთობლივი და ინდივიდუალური ღონისძიებებით კარგ შედეგებს მიაღწიეს. იმ პირობით, რომ კვლავაც გამოიჩენენ კეთილი ნების სულისკვეთებას, ნათქვამია კომუნიკეში, ახლა არსებული სიძნელენი შეიძლება აღიკვეთოს და ჟენევის შეთანხმებანი შეიძლება შესრულდეს.

ნერუსა და ფამ ვან დონგს მიაჩნიათ, რომ ვიეტნამის, კამბოჯისა და ლაოსის კეთილმეზობლური ურთიერთობა, ერთმანეთის პატივისცემა და აღიარება ხელს შეუწყობს მოწესრიგებას ინდოჩინეთში და მშვიდობის საქმეს აზიაში. ნერუსა და ფამ ვან დონგს მიაჩნიათ, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და ცალკეული ქვეყნების მეგობრობის საუკეთესო გარანტიაა ის, რომ დაიცვან სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის აღიარების, თავდაუსხმელობის, თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი და მშვიდობიანი თანაარსებობის პირობების უზრუნველყოფის პრინციპი.

ნერუმ და ფამ ვან დონგმა კმაყოფილება გამოთქვეს ინდოეთსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის გამო, და შემოქვეს იმედი, რომ აზრთა ეს გაცვლა ხელს შეუწყობს ამ ურთიერთობის განმტკიცებას. ნერუმ და ფამ ვან დონგმა კმაყოფილება გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი შეძლებენ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ბანდუნგში აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე.

დამთავრდა უღან-ბატორი—ძინინის რკინიგზის მონღოლეთის უბნის მშენებლობა

ულან-ბატორი, 10 აპრილი. (საკდესი). დღეს რკინიგზის მონღოლეთის უბანზე სახელმო ვითარებაში დამთავრდა რელსების დაგება. ეს გზა ერთმანეთთან დაუკავშირებს სამი მომეზახლემწიფის — სსრ კავშირის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქებს და ათასი კილომეტრით შეამცირებს გზას მოსკოვიდან პეკინამდე. დილის 8 საათზე ძამინ-უდეს სასაზღვრო სადგურზე გომის უდაბნოში პირველი სამგზავრო მატარებელი ულან-ბატორიდან ჩავიდნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ცედენბალი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე შირენდიბი, შინაგან საქმეთა მინისტრი ჟანჩივი, ტრანსპორტის მინისტრი იადამსურენი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იდამკანი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ვ. ი. პისარევი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ხე ინი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ხონ დონ ჩერი.

ძამინ-უდეს სადგურზე ცოტა ხნის შეჩერების შემდეგ ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით მორთული, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ალმებით შემკული სამგზავრო მატარებელი გადის ჩინეთის საზღვრისაკენ. აქ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელთა და შშენებელთა მრავალრიცხოვანი რაზმის თანდასწრებით გაიმართა რელსების უკანასკნელი ოთხი რგოლის დაგების ცერემონია. მშენებლობის უფროსი ლ. ზავროვი მოახსენებს პრემიერ-მინისტრ ცედენბალს მატარებელთა მოძრაობის გახსნის შესახებ. პრემიერ-მინისტრი მადლობას უცხადებს მშენებლებს და გამარჯვებას უსურვებს მონღოლ, საბჭოთა და ჩინელ ხალხთა ურღვევ მეგობრობას. გომის უსასრულო უდაბნოში გაისმის მძლავრი ვაშა. მოდიან ჩინელი მშენებლები. ამ მშენებელთა და გზის მონღოლეთის უბნის მშენებელთა შორის ხდება გულთბილი შეხვედრა.

იწყება მიტინგი. მშენებლები ლაპარაკობენ ამ სასტიკ პირობებზე, რომლებშიც უზდებოდათ მათ გზის მშენებლობა, და იმაზე, რომ, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა, რელსების დაგება დამთავრდა ვადამდე. მიტინგი დამთავრებულია. გაისმის სსრ კავშირის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნების დიდებული ხმები.

საფრანგეთის მხარე არღვევს შეთანხმებას ვიეტნამში დაზავების შესახებ

ხანოი, 10 აპრილი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, საფრანგეთის მხარემ ბაკ-ხაში (ლაო-კაის პროვინცია) შეგზავნა შეიარაღებული ბანდიტების ჯგუფი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძირგამომთხრელი საქმიანობის საწარმოებლად.

ტაი ჩინ კაი, რომელიც ხროვას მეთაურობდა, შეიპყრეს, ხოლო დანარჩენი ბანდიტები დახოცეს.

ტაი ჩინ კაის ჩვენებიდან და ხელში ჩაგდებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ბანდა ამ რაიონში შეგზავნა საფრანგეთის სარდლობამ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძარცვისა და ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის. ბანდიტებმა იარაღი და სურსათი მიიღეს საფრანგეთის კავშირის ჯარებისაგან.

საფრანგეთის მხარის ეს მოქმედება, ნათქვამია სააგენტოს ცნობაში, დაზავების შესახებ შეთანხმების სერიოზული დარღვევაა.

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის რაოდენობა

ბერლინი, 11 აპრილი. (საკდესი). როგორც დასავლეთ გერმანიის დპა-ს სააგენტო იუწყება, 1954 წელს დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობდა 49.763.400 კაცი.

პირველი საგრაქტორო ქარხნის მშენებლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

პეკინი, 11 აპრილი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმდინარეობს მზადება ჩინეთში პირველი სატრაქტორო ქარხნის მშენებლობისათვის. უკვე დამთავრდა საპროექტო-საძიებო სამუშაოები ქარხნის პირველი ჯგუფის საამქროების მშენებლობის ადგილის გამოსარკვევად.

გაზეთი „ეენმინ ეიბაო" აღნიშნავს, რომ ყველა ძირითადი სამშენებლო სამუშაო მექანიზებული იქნება. უკვე ახლა სამშენებლო მოედანზე მიტანილია ასზე მეტი მექანიზმი — ბულდოზერი, ამწე, ექსკავატორი და სხვა მანქანები.

შვეიცარიის მთავრობამ იკისრა დაიცვას სსრ კავშირის ინტერესები ერაყში

ბერნი. 10 აპრილი. (საკდესი). როგორც აქ გამოიარკვა, ბაღდადში სსრ კავშირის მისიის დახურვასთან დაკავშირებით, შვეიცარიის მთავრობამ სსრ კავშირის ინტერესები ერაყში დაიცვას სსრ კავშირის ინტერესები ერაყში.

ირანის ახალი მთავრობა

თეირანი, 10 აპრილი. (საკდესი). როგორც თეირანის რადიო იუწყება, გუშინ ახალმა პრემიერ-მინისტრმა ჰოსეინ ალამ შახს წარუდგინა თავისი კაბინეტის წევრები. მთავრობის შემადგენლობაში შედიან: პრემიერ-მინისტრი ჰოსეინ ალა; საგარეო საქმეთა მინისტრი — ალბოლა ენთეზამი; შინაგან საქმეთა მინისტრი — ასადოლა ალიამი; ფინანსთა მინისტრი — ალი ამინი; სამხედრო მინისტრი — კორპუსის გენერალი ალბოლა ჰედაიათი; ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ჯახანშახ სალეხი; ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი — ამრავი; სოფლის მეურნეობის მინისტრი — ტალეგანი; შრომის მინისტრი — მოჰსენ ნასრი; განათლების მინისტრი — მაჰმუდ მეჰრანი; გზათა მინისტრი — დიგიზიის გენერალი ვალი ანსარი; ეროვნული ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი — იბრაჰიმ კატანი; პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშნულია მაჰმუდ ჰედაიათი; უფროსელო მინისტრებად — ალი მოტამედი და ჰაჯი მოჰამედ ნამაზი.

იუსტიციის მინისტრის დანიშვნამდე მის მოვალეობას შეასრულებს პრემიერ-მინისტრი ჰოსეინ ალა.

ჩინეთში აღმოაჩინეს კონტრრევოლუციური ორგანიზაცია

პეკინი, 10 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთი „სინინიბაო" იუწყება, საზოგადოებრივი უშიშროების ორგანოებმა ამას წინათ შენსისა და განსუს პროვინციებში აღმოაჩინეს დიდი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელსაც მეთაურობდნენ ჩანკაიშელი ბანდიტები. დაპატიმრების დროს ორგანიზაციის წევრებს აღმოაჩნდათ იარაღი, ფარული სტამბა, ფეურცლები, ყალბი დოკუმენტები.

უახლოეს ხანში ბანდიტები სასამართლოს წინაშე წარსდგებიან.

ვალერი ლისიკოვი მშობლებს დაუბრუნდა

ბერლინი, 9 აპრილი. (საკდესი). დღეს დასავლეთ ბერლინში 16 წლის საბჭოთა მოსწავლე ვალერი ლისიკოვი მეორედ შეხვდა თავის მშობლებს. ვ. ლისიკოვმა შინ დაბრუნების სურვილი გამოთქვა. ამერიკელ ხელისუფლებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ვ. ლისიკოვი თავის მშობლებს დაუბრუნდა.

თემატიკური საღამო

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის [illegible] ... დღეს 13 აპრილს [illegible] ... ლის რუსთაველის [illegible] ... ცერტო დარბაზში [illegible] ... ლის ხსოვნისადმი მიძღვნილ თემატიკურ საღამოს.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ხორავა.

ლექციას „კოტე მარჯანიშვილი" წაიკითხავს დოც. ბ. ჟღენტი.

მოგონებებითა და სიტყვებით გამოვლენ მწერლები და არტისტები.

მოსმენილი იქნება კოტე მარჯანიშვილის დადგმების მაგნიტოფონზე ჩაწერები: სცენა სპექტაკლიდან „მზის დაბნელება საქართველოში" (ე. ჩერქეზიშვილის, ნ. გოცირიძის, ვ. გოძიაშვილის, ე. სიბილას და სხვ. შესრულებით), „ჰამლეტის" მონოლოგი (უშანგი ჩხეიძის შესრულებით), სცენა სპექტაკლიდან „ურიელ აკოსტა" (ვ. ანჯაფარიძისა და უ. ჩხეიძის შესრულებით), სცენა „ყვარყვარე თუთაბერიდან" (უ. ჩხეიძის, ც. წეფურნავას, შ. ღამბაშიძის და სხვ. მონაწილეობით).

შესრულებულ იქნება სცენები და მონოლოგები მარჯანიშვილის მიერ განხორციელებული დადგმებიდან, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ამ როლების პირველი შემსრულებლები.

მონაწილეობენ აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ვასაძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები გ. დავითაშვილი, ს. ზაქარიაძე, პ. კობახიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე.

ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება საზოგადოების რწმენენენოსთან (ჯაფარიძის ქ. № 4), საღამოს — საკონცერტო დარბაზის სალაროში.

ჭადრაკი

ვ. სმისლოვი — ე. გელერი

საბჭოთა გროსმაისტერების ვ. სმისლოვისა და ე. გელერის საჭადრაკო მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსავლინებლად საერთო ყურადღებას იპყრობს. 9 აპრილს მოსკოვში, ტრანგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში მოეწყო გადადებული პარტიის დამთავრება. საინტერესო ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

10 აპრილს ე. გელერისა და ვ. სმისლოვის მატჩის მე-4 პარტიაც ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, 4 პარტიის შემდეგ შეჯიბრების ანგარიშია 2:2.

ბ. გურგენიძე — მ. შიშოვი

საქართველოს პირველობაზე ოსტატობის კანდიდატის ბ. გურგენიძისა და ოსტატ მ. შიშოვის საჭადრაკო მატჩის პირველი ორი პარტია ბ. გურგენიძის გამარჯვებით დამთავრდა.

9 აპრილს გაიმართა მატჩის მესამე პარტია, თეთრებით თამაშობდა ბ. გურგენიძე, ცენტრის ნაადრევი გახსნით მ. შიშოვმა დებიუტში პაიკი წაგო. ეს უპირატესობა ბ. გურგენიძემ ვერ გამოიყენა. იგი პასიურად თამაშობდა და 39-ე სვლაზე წაგო პარტია.

გუშინ თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა მატჩის მეოთხე პარტია. ბ. გურგენიძემ სუსტად გაითამაშა დებიუტი და მე-20 სვლაზე წაგო პარტია. მატჩის ანგარიშია 2:2.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 13 და 14 აპრილს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. აღმოსავლეთის ქარი 3-7 მეტრი წამში, რიონის ხეობაში 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა დასლამს რაიონებში ღამით 5-10, დღისით 15-20 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1-6, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში—ცვალებადი მოღრუბლულობა. აღმოსავლეთ რაიონებში დროგამოშვებით ნალექი, დასავლეთ რაიონებში უმეტესად უნალექოდ. აღმოსავლეთის ქარი 3-7 მეტრი წამში, ტემპერატურა დასლამს რაიონებში ღამით 1-6, დღისით 10-15 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 4-9 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დიდი სპორტული დღე

მატჩის წინადღეებში კოკისპირულად წვიმდა. ფეხბურთის მოედნები წყლით დაიფარა. სპორტს მოყვარულებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ. ასეთ ამინდში ხომ თამაშიც ძნელი იქნებოდა და ყურებაც.

თითქოს საგანგებოდ, ამ დღისათვის გამოიდარა. მოედნები გაშრა. ჰქროდა ძლიერი ქარი. ნაშუადღევის პირველი საათისათვის სტადიონის იარუსები სავსე იყო მაყურებლებით, ფეხბურთის „გულშემატკივრებით".

ეს იყო 10 აპრილს თბილისში, ფეხბურთში სსრ კავშირის 1955 წლის პირველობის გათამაშების საზეიმო გახსნის დღეს.

მინსკის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" მთავარ ბრძოლას წინ უძღოდა ამ გუნდების დუბლ-შემადგენლობათა მატჩი. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 1:1. ბურთები გაიტანეს მარტენა გარემარბმა გ. ხასიმა (მინსკის „სპარტაკი") და შუამარბმა ი. კურტანიძემ (თბილისის „დინამო").

3 საათი და 30 წუთია. იწყება XVII ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალი. სამხრეთ ტრიბუნიდან გამოჩნდნენ ფეხბურთელთა კოლონები, რომელთაც წინ მიუძღოდა გასული წლის პრიზიორი — მინსკის „სპარტაკი". მას მიჰყვებოდნენ თბილისის „დინამოს", ფეხბურთის ახალგაზრდული სკოლის, „ნორჩი დინამოელის" და 35-ე სკოლის გუნდები.

სპორტსმენთა პარადი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. ალმი ალმართეს მინსკის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" გუნდების კაპიტნებმა სპორტის ოსტატმა ნ. მაკაროვმა და სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ღოღობერიძემ.

გაისმის სპორტის მოყვარულთათვის ცნობილი ფეხბურთის მარშის მელოდია. რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი) მოედანზე იხმობს მინსკის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" გუნდებს. მათ რიგებში არიან: მინსკის „სპარტაკი" — მეკარე ა. ხომიჩი; მცველები — ვ. გოლუბევი, მ. სილიკი, ვ. მალიავკინი; ნახევარმცველები — გ. აბრამოვიჩი, ვ. ფომინი; თავდამსხმელები — ი. მოზერი, ბ. კურნევი, ა. ეგოროვი, ნ. მაკაროვი, ა. გოლუშჩაპოვი. თბილისის „დინამო" — მეკარე ვ. მარდანია; მცველები — ვ. ელოშვილი, ჯ. რუსაძე, გ. ხოკოლავა; ნახევარმცველები — რ. მაზარაძე, მ. დავარაშვილი; თავდამსხმელები — ა. კოტრიკაძე, კ. გაგნიძე, ზ. კალევი, ა. ღოღობერიძე, ბ. ხასაია.

თამაში დაიწყო. სპორტულმა ბრძოლამ თავიდანვე საინტერესო სახე მიიღო. თბილისელები იერიშს ძირითადად მარჯვენა ფრთიდან ახორციელებდნენ. ეს თავიდანვე იგრძნეს სტუმრებმა. ისინი ფხიზლად დარაჯობდნენ ბ. კოტრიკაძეს და კ. გაგნიძეს. ბრძოლაში ჩაება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სახელგანთქმული მეკარე სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ხომიჩი. მცველებთან ერთად ის სიამოვნებით იცავდა კარს.

რამდენიმე წუთის შემდეგ „სპარტაკის" თავდამსხმელები შეტევაზე გადავიდნენ. მე-6 წუთზე მათ გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია, მაგრამ ძლიერად დარტყმული ბურთი ასცდა კარის ძელს. მე-10, მე-11 და მე-13 წუთზე თბილისელებმა ორივე ფლანგიდან შეუტიეს და ხელსაყრელი მომენტებიც შექმნეს. გადამწყვეტ ეტაპზე კომბინაციის დამაგვიანებლად ცენტრში არავინ აღმოჩნდა. ანგარიშის გახსნის რამდენიმე შესაძლებლობა დაკარგა ზ. კალევმა.

24-ე წუთზე ბურთი მიიღო ნახევარმცველმა გ. აბრამოვიჩმა. იგი ისე მიუახლოვდა დინამოელთა საჯარიმოს მოედანს, რომ წინ არავინ გადაღობებია. გ. აბრამოვიჩმა უნაკლოდ გამოიყენა შექმნილი მომენტი და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში.

ტაიმის დამთავრებამდე ინიციატივა კვლავ თბილისელთა მხარეზე იყო. ა. ხომიჩმა ორჯერ გადაარჩინა კარი აჩქარა გოლისაგან. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა სპარტაკელთა სასარგებლოდ 1:0.

შესვენების დროს გაიმართა მძლეოსანთა გამოსვლები. 100 მეტრზე რბენაში გოგონათა შორის გაიმარჯვა პოპოვამ (13,2 წამი), ვაჟთა შორის — სამოილენკომ (11,1 წამი). 800 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა კუდრიავცევმა (1 წუთი და 58,2 წამი).

მეორე ტაიმში ძლიერად თამაშობდნენ სპარტაკელთა მცველები. თავდასხმელებს აქტიურად ეხმარებოდნენ ნახევარმცველები გ. აბრამოვიჩი და ვ. ფომინი. საერთო მოწონება დაიმსახურა მეკარე ა. ხომიჩმა.

36-ე წუთზე მცველმა გ. ხოკოლავამ მარცხენა ფრთიდან გვერდი აუარა რამდენიმე მოთამაშეს და ზუსტად ჩაუწოდა ბურთი სპარტაკელთა კართან. აქ აღმოჩნდა ზ. კალევი, რომელმაც თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. დარჩენილ წუთებს შედეგი არ მოუცია. მინსკის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

ვ. გაგელია.

* * *

XVII ჩემპიონატის გახსნისადმი მიძღვნილი მასობრივი სასპორტო შეხვედრები გაიმართა ბაქოში, კიევში, ერევანში, კუიბიშევსა და სტალინოში. ბაქოში მოსკოვის „დინამომ" მოუგო დედაქალაქის „ლოკომოტივს" 4:1. სამი ბურთი გაიტანა ა. მამედოვმა. კიევში მოსკოვის „სპარტაკისა" და კიევის დინამოელთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მატჩი ერევანში ცდასა და მოსკოვის „ტორპედოს" შორის. „კრილია სოვეტოვმა" თავის მოედანზე წაგო შეჯიბრება ანგარიშით 1:2 ლენინგრადის „ზენიტთან". სტალინოში „შახტიორისა" და ლენინგრადის „შრომითი რეზერვების" მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2.



სურათზე: თბილისის „დინამოს" სტადიონი მინსკის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდების მატჩის წინ 10 აპრილს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

დისერტაციის დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 3)

1955 წ. 23 აპრილს დღის 3 საათზე ფიზიკის აუდიტორიაში ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის მეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

იასე თედორეს-ძე ბართიშვილი

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „К вопросу о точности измерения атмосферных осадков в горных условиях".

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს დოცენტის თანამდებობაზე: ბოტანიკის კათედრაზე — 1,0, ზოოლოგიის კათედრაზე — 0,5 განაკვეთი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შეაქვთ განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი სამუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, შეფასებული ნოტარიუსის მიერ, დიპლომის ასლი ხარისხის მინიჭების შესახებ, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, სამეცნიერო შრომების სია, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან.

განცხადებების შეტანის ვადა 1 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქალაქი ქუთაისი, კიროვის ქ. № 55.

მოქალაქე **ივანე გიორგის-ძე ჯაფარიძემ**, მცხოვრებმა მცხეთის ქ. № 86, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **აგრაფინა თეოფილეს ასულ ჯაფარიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ნინო სოლოვიოვა, შვილი გურამ ოჯახით და ნათესავებით იუწყებიან **ვიქტორ რომანის-ძე ბაქრაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-IV, 8 ს. გამოსვენება 14-IV, 5 ს. მერკვილაძის ქ. № 20.

მეუღლე ნადია, შვილები მარიამ, გოგი, ბორის